645
1984



# საქართველოს ქალი

LSSN 0321-1509

6
1984

ეროვნული ბიბლიოთეკა



დ. იაკობაშვილის ფოტოეტიუდი

ნაზი კილასონია

# სულ იხარეთ ბავშვებო!

უფრო უხვად, უფრო უხვად
თქვენ იხარეთ, ბავშვებო,
საქართველოს მწვანე მუხის
და პლანეტის გარშემო!

გაცამტვერდი იარაღო,
პერშინგო და დაშნებო,
მშვიდობიან იალაღზე
თქვენ ირბინეთ ბავშვებო!

წყარო თქვენი ნეტარების
ნურც ნურასდროს დაშრება,
სულ იხარეთ პატარებმა!
სულ იცინეთ ბავშვებმა!

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17.725

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## ჟურნალ „საქართველოს ქალის" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით ჟურნალი „საქართველოს ქალი" დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 15 ივნისი.

# დ ა ჯ ი ლ დ ო ე ბ ა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით

ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და ჟურნალ „საქართველოს ქალის" დაარსების 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ბარათაშვილი მარიამ გერვასის ასული — რედაქტორი

ბუკია ემა გერმანეს ასული — ტექნიკური რედაქტორი

გურგენაშვილი რუსუდან ზაქარიას ასული — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის საამწყობო საამქროს ასოთამწყობი.

კაკაბაძე ლია ვლადიმერის ასული — განყოფილების გამგე

ოსიპოვა რუსუდან ვარდოს ასული — მემანქანე

რევია-დადიანი ოლღა ნესტორის ასული — შტატგარეშე კორესპონდენტი

შენგელია ლეონარდო გიორგის ძე — შტატგარეშე მხატვარი

ჩოფიკაშვილი ირმა გიორგის ასული — განყოფილების გამგე

ცაგარეიშვილი ნანული რაჟდენის ასული — განყოფილების გამგე

ჯაფარიძე ეთერი ვლადიმერის ასული — პასუხისმგებელი მდივანი.

### საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის წოდება მიენიჭა:

კილასონიას ნაზი გიორგის ასულს — განყოფილების გამგეს

### საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება მიენიჭა:

იაკობაშვილს დავით ვლადიმერის ძეს — ფოტოკორესპონდენტს

პოპიაშვილს თამარ გიორგის ასულს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის საამწყობო საამქროს უფროსს

ხუბაშვილს ლეილა კონსტანტინეს ასულს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის საამწყობო საამქროს ლინოტიპისტს.

### საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის წოდება მიენიჭა:

ტერელაძეს ცინარა აკაკის ასულს — მთავარ მხატვარს

კ. მარქსის სახ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუბილეს გვილოცავენ

**ხუტა ბერულავა**

## კეთილი გულით მოძღვნილი...

„საქართველოს ქალს" — საიუბილეოდ

ულამაზეს გრძნობებს
მზის შუქივით აფრქვევ.
ხან გაზაფხულს გარქმევ,
ხან სიყვარულს გარქმევ.

ურიცხვ აკვანს არწევ
და მამულზე გალობ.
მომავალზე ფიქრით
წინაპრებსაც სწავლობ.

ყველა წმინდა კერის
უნაზესო დაო,
ხან ალერსად დნები,
ხან ტკივილთან დაობ....

როგორც ნანატრ სტუმარს,
მიგელიან ყველგან,
იავნანით გვატკბობ
და სიკეთეს ნერგავ.

მშვენიერი დღე გაქვს,
დაიღალე? — არა!
დაე სიტყვამ შენმა
იელვაროს მარად.

14 მაისი, 1984 წ.

**ჩვენო ძვირფასო იუბილარებო!**

თქვენთან ერთად ვხარობთ თქვენი დღესასწაულით, ვამაყობთ თქვენი წარმატებებით, გვიყვარს თქვენი შრომისმოყვარე მკითხველები!

„საქართველოს ქალის" თითოეულ თანამშრომელს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიხალისესა და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს!

თქვენი და-ძმები, კოლეგები, ამხანაგები და მეგობრები ჟურნალ „სოვეტსკაია ჟენშჩინადან".

СОВЕТСКАЯ ЖЕНЩИНА

„საქართველოს ქალსა" და „რაბოტნიცას" დიდი ხნის მტკიცე შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებს. ძვირფასო დაო! — ჩვენი მილიონობით მკითხველის სახელით ვუსურვებთ საქართველოს ქალებს სახელოვან შრომით წარმატებებს, სიცოცხლის კავკასიურ ხანგრძლივობას, დიდ ბედნიერებასა და საუკეთესო გუნება-განწყობილებას.

„მშვიდობით!" რუსულად ამ სიტყვას ვთარგმნით, როგორც ნახვამდის, მაგრამ არ გეთხოვებით: „მშვიდობით" ხომ ულამაზესად ჟღერს ქართულ ენაზე: მშვიდობა შენდა! მშვიდობა ყოველი ქართველის სახლში, მშვიდობა დედამიწის ყოველ კეთილ ადამიანს. ჩვენც ხომ ამისათვის ვცხოვრობთ და ვიღვწით.

შენი „რაბოტნიცა".

РАБОТНИЦА

КРЕСТЬЯНКА

* * *

რუსეთის ყველა დიდი პოეტი
ქართველ ქალისთვის ჰქმნიდა
სონეტებს.
მეც გიძღვნი ამ ლექსს, — ალერსს
სრულიად,
აქ მბრძანებელი სიყვარულია!
გესმით, კარგებო? ჩონგური გალობს,
რარიგ ზეიმობ —
„საქართველოს ქალო"!
გხიბლავთ ვარსკვლავთა
ბრწყინვალე ალი
ერთი მათგანია
„საქართველოს ქალი"!
ვეტრფით მშვენების წკრიალით
მსახველს
ქართველ ქალების ღირსეულ
სახელს!
წლებს ნუ დაითვლი, დაო,
მორჩილად
ის ვინც კარგია — მუდამ ნორჩია!
ათასებს ითვლის, მაინც ესეა,
ნეფერტიტს ვერვინ ჰკადრებს
პენსიას!
ვარდო, ბრიალავ, ამდენ კვირტებით
რამდენი წლის ხარ, არც
გეკითხებით!
კოკორი ხარ თუ ფურცლად იშლები,
შენი გულისთვის ჭკვიდან ვიშლებით.
მაშ, გაიხარე, ჩვენო მავთვალა,
წალკოტს ყვავილი, ვინ?
ვინ დათვალა?
იყავ მარადი, დაუნაცრელი,
გყავს მეგობარი აურაცხელი!

შენი „კრესტიანკა".

„აზერბაიჯან გადინი" მთელის გულით იზიარებს თქვენს სიხარულს. თქვენთან ერთად წარმოთქვამს მოძმე საქართველოს მომავალი წარმატებების სადღეგრძელოს. თავის ქართველ დებსა და მეგობრებს უსურვებს მშვიდობიან დილა-საღამოს, ულრუბლო, მზიან ცასა და დიდ ბედნიერებას; ჟურნალის კოლექტივს კი — ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

გულწრფელი პატივისცემით თქვენი და „აზერბაიჯან გადინი".

Азәрбајҹан гадыны

გისურვებთ ჯანმრთელობას, აქტიურ შემოქმედებით წარმატებასა და ახალ-ახალ ძიებებს საქართველოს ქალების შრომითი გმირობისა და მათ დიდებულ საქმეთა წარმოჩენის საქმეში, ჩვენი დიადი სამშობლოს საგანძურში მათ მიერ გალებული დიდი წვლილის დაფასების საქმეში.

შენი და „აიასტან აშხატავორუჰი".

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԱՇԽԱՏԱՎՈՐՈՒՀԻ



ამ ფოტოზე აღბეჭდილია პარტიულ და კომკავშირელ ვეტერან ქალთა ერთი ჯგუფი (პირველ რიგში), რომელიც „საქართველოს ქალის“ რედაქციისა და რესპუბლიკური ქალთა საბჭოს მოწვევით შეიკრიბა ჩვენს რედაქციაში.

შეკრების ბოლო დღე. მთაწმინდაზე. 1970 წელი.

# მ ტ რ ე დ ე ბ ი

ვისაც დიდი სამამულო ომის წლებში 102-ე საბავშვო ბაღში (ამჟამად 155-ე) უვლია, უთუოდ გაახსენდება ერთ დილით ომს გამოქცეული, უსახლკარო ბავშვები რომ მოიყვანეს.

ალბათ, არც ის დავიწყნიათ, ფრონტზე ამანათებს რომ აგზავნიდნენ. ყუთებში ჩაწყობილ საჩუქრებს ბავშვები ქაღალდზე დაწერილ თავიანთ სახელს და გვარს აყოლებდნენ.

ერთერთი ამანათიდან რუსმა მფრინავმა ქალმა თბილი ყელსახვევი ამოიღო და ხელში ქაღალდი შერჩა, რომელზეც მისი შვილის სახელი და გვარი — კოლია სატაჯი — ეწერა.

სარდლობამ მას თბილისში გადმოფრენის ნება დართო. და აი, ერთ მშვენიერ დღეს ბაღში მფრინავი დედა მოვიდა. დიდხანს, დიდხანს ჰყავდა შვილი გულში ჩაკრული!

რა დაავიწყებს კოლიას ამ დღეს! მას შემდეგ დედა აღარ უნახავს. იგი საჰაერო ბრძოლაში დაიღუპა.

იმ დღეებიდან მოყოლებული აქ ტრადიციად იქცა სხვადასხვა ეროვნების ბავშვების მეგობრობა. დღეს ბაღის ყველა აღსაზრდელს ბევრი მეგობარი ჰყავს მოსკოვში, ლენინგრადში, ტალინში, კიევში და შორეული უსურიის მხარეში. ისინი წერილებს წერენ იქაურ თანატოლებს, უგზავნიან საჩუქრებს, საქართველოს და თბილისის ხედებს, აცნობენ თავიანთ სათაყვანებელ რესპუბლიკას.

დაუღალავი კოლექტივი შრომობს, ილვწის ბავშვთა სწორი აღზრდისა და გონებრივი განვითარებისათვის. აქ პატარებს აჩვევენ დახვეწილ ქართულ მეტყველებას. ბაღის გამგე ნელი კალანდარიშვილი, რომელიც ჩინებულად ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას, სისტემატურად მუშაობს აღმზრდელებთან, რათა მათ ყოველი მეცადინეობა მაღალ დონეზე ჩაატარონ.

ამ სახელოვანი კოლექტივიდან ერთერთ მათგანს, გულიკო ყიფიანს გაგაცნობთ.



ბაღის გამგე ნელი კალანდარიშვილი

დაე, მუდამ იყოს მზე!..



ეროვნული ბიბლიოთეკა



დ. იაკობაშვილის ფოტო



გულიკოს შარშან თბილისის სკოლამდელი დაწესებულებების წლის საუკეთესო პედაგოგის წოდება მიენიჭა. კონკურსი, რომელშიც მან გაიმარჯვა, ითვალისწინებდა სააღმზრდელო ჯგუფის ბავშვების კარგ მომზადებას, დახვეწილ მეტყველებას. გულიკო შემოქმედი პედაგოგია, აქვს ბავშვებთან კონტაქტის საოცარი უნარი, მისი აღზრდილები კარგად არიან მომზადებული, მეტყველებენ გამართული ქართულით. გულიკოს მეცადინეობები დატვირთულია შემეცნებითი აზრით, თანაც სანახაობრივიც არის. პედაგოგი ლამაზად, გამომეტყველად, შესაფერისი ინტონაციით გადასცემს გაკვეთილს. იგი მეცადინეობისათვის წინასწარ გულდაგულ ემზადება. მაგრამ თუ მოულოდნელად მოუწევს რომელიმე სხვა გაკვეთილის ჩატარება, მასაც შესანიშნავად წარმართავს, გაამდიდრებს სახელდახელოდ შემუშავებული მეთოდით, რომელიც არსად, არცერთ მეთოდურ ლიტერატურაში არ არის. ასეთ წარმატებას გულიკო საკუთარ თავზე ბეჯითი მუშაობის შედეგად აღწევს. სულ ახლახანს იგი ოქროყანის ახალგახსნილი საბავშვო ბაღის გამგედ დააწინაურეს.

გულიკო ყიფიანის გამარჯვება შარშანდელ კონკურსში ბაღის გამგის ნელი კალანდარიშვილის დამსახურებაც არის. ამიტომ „საქართველოს ქალის" რედაქციამ მათ ორივეს ჟურნალის „ღიმილის პრიზი" მიანიჭა.

...ბაღში ძნელაძის ქუჩაზე ძველი ტრადიცია გრძელდება. ომის დროს ბავშვები არასოდეს არ ხატავდნენ ტანკს, თვითმფრინავს, თოფს. მათ მშვიდობიანი დღის — მზისა და ყვავილების ხატვა უყვარდათ. ასეა დღესაც. ქალბატონი ნელი პატარების ნახატებში ნახულობს ახალაფეთქებულ ხეებს, ზამთრის პეიზაჟს, ამომავალ მზეს. მშვიდობის მტრედებს!

მტრედების ხატვა ბავშვებს უყვართ.

ლია კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ე. ბერიძის ფოტო

# მღერებული ოჯახი

ჩვენი რესპუბლიკის მეთაური — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე 1983 წლის 19 ნოემბერს რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ხაზგასმით აღნიშნავდა: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უმნიშვნელოვანესი საპროგრამო მიზანია ადამიანის კეთილდღეობისათვის ყოველდღიური ზრუნვა, ადამიანთა ჯანმრთელობა კი საზოგადოებრივი სიმდიდრე და სიკეთეა.“ ამავე კრებაზე მან ხაზგასმით ილაპარაკა მტკივნეულ დემოგრაფიულ საკითხზე, მრავალშვილიან ოჯახთა გამრავლება-მატების მდგომარეობაზე, მათთვის იმ დახმარებასა და ხელშეწყობაზე, რასაც მუდამ ითვალისწინებს საბჭოთა კანონი.

დედა — საწყისი სილამაზისა, სიცოცხლისა!

დედა — რამდენი ლექსი თქმულა მასზე, რამდენი სიმღერა!

რაოდენი სიყვარულით არის ის გარემოცული!..

სწორედ ამ სიყვარულმა მიგვიყვანა ერთ-ერთ მათგანთან, რვა შვილის გამზრდელ ანჟელა გეგეჭკორ-იმედაძესთან, სავარდო და სამაისო ქუთაისის ერთ-ერთი მშვენიერი ოჯახის დიასახლისთან. შვილიშვილი ეჭირა ხელში. პირგაღიმებული რომ შემოგვეგება, მაშინვე ვიგრძენით რა სიამტკბილობით იყო აღსავსე ეს დიდი ოჯახი. „მშვიდობა იყოს ქვეყანაზე და მე არაფერი მაკლია. მთავრობისაგან მზრუნველობითა და ყურადღებით არის გარემოსილი ჩვენი სახლი, ჩვენი კერა. დაღლით რა დამღლის, კარგი ქმარი მყავს, კარგ გზაზე დაყენებული შვილები, გულისყურიანები და ბეჯითად მშრომელნი, ჯანმრთელები და წესიერები. მეტი რაღაა ბედნიერებისათვის საჭირო, — ასე ბრძანა ბედნიერმა დედამ და დიასახლისმა. ბინაში მიგვიწვია და საუბარში წვრილად გვიამბო ოჯახის ამბავი, გვიჩვენა ფოტოსურათები, სიყვარულითა და სიამაყით ილაპარაკა რვა შვილზე, ქმარზე, ორ სიძესა და ორ შვილიშვილზე.

ანჟელა ჯერ კიდევ ახალგაზრდაა — 47 წლისა. ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა, ბედი რომ დაუკავშირა ახალგაზრდა ინჟინერს — ბახვა იმედაძეს. მას შემდეგ ოჯახში ტრიალებს, მისი მზრუნველი ხელი სჭირდება ყველას და ყველაფერს, უპირველეს ყოვლისა კი — შვილებს: რუსუდანს, ანას, ნინოს, ირინეს, თამრიკოს, თინიკოს, ნესტანს და სოსოს! მათგან ორი პედაგოგია, ერთი — სამედიცინო ტექნიკუმში სწავლობს, ერთი ლენინგრადის სამედიცინო ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტია; თამრიკო, თინიკო, ნესტანი და სოსო კი საშუალო სკოლის მოსწავლეები არიან, სკოლის თვითმოქმედი წრეების აქტიური წევრები. ახლა სიძეებზე ჩამოაგდო სიტყვა: რუსუდანის ქმარი ვახტანგ კეკუა ექიმია. ანას მეუღლე დავით მამასახლისი ქალაქის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტია. და, საერთოდ (ეს თავიდანვე უნდა გვეთქვა), ქუთაისში ამ ოჯახს „ამღერებულ ოჯახს“ ეძახიან. „მღერის იმედაძეების ოჯახი! — აცხადებს რადიო და მშვენიერი ჰანგები ეფინება გარემოს. ოჯახის მამა ბახვა იმედაძე თავიდანვე სიმღერის ტრფიალი იყო. ახალგაზრდობისას ანდრია და ბიძინა ღოღობერიძეების ხალხური სიმღერების მომღერალთა გუნდში მღეროდა. სიმღერის სიყვარული მას შემდეგ დამკვიდრდა მათი ოჯახის ჭერქვეშ. სახლი საკრავებით არის სავსე. გამორჩეულად უყვართ ჩონგური, ფანდური, გიტარა. სწორედ ამ საკრავებზე ამღერებენ უმშვენიერეს „სულიკოს“, საგალობელივით ზეცას ავლენილ „გაფრინდი შავო მერცხალოს“ ...მათი საყვარელი სიმღერებია აგრეთვე: „დამიბრუნდი“, „იმერეთო, იმერეთო“, „გოგო მიდის მოხვეულში“, „როცა ჩაქრება ჭადრებში“, „ჩიტო-გვრიტო“, „სამშობლო“, „ქუთაისო“, და, ბოლოს, რა თქმა უნდა უძველესი „მრავალჟამიერი“ — ერის დღეგრძელობის, ხალხის მრავალჟამიერად ბედნიერი სიცოცხლის საგალობელი.

ქალაქში იცნობენ და აფასებენ მომღერალთა ყოველმხრივ პატივსაცემ დიდ ოჯახს, მის დიასახლისს — „სახელოვანი დედის“ ორდენით მკერდდამშვენებულ ქალბატონ ანჟელა იმედაძეს.

მრავალჟამიერ იმრავლოს ასეთმა ოჯახებმა ჩვენს რესპუბლიკაში, ჩვენს სათაყვანო საქართველოში!

ჯანიკო გაგუნია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთერ სახვაძე

# ცვლილება

უცნაურად თბილი და მყუდრო ზამთარი დადგა წლეულს იმერეთში. საშუადღეოდ ისე ჩახურდება ხოლმე მზე, გაძარცული მიდამო რომ არა, აპრილი გეგონება.

გაუფერულებულ, მკრთალ სურათებში მარტო ბაღდადის მუქლურჯი მთები გამოიკვეთება ფეროვნებით... აგერ ჭიშკრიდან გამოდის სანდომიანი ქალი: ტანად მაღალი, ნაკვთები უზადო, გამოხედვა სათნო. აჩქარებით გადაჭრის გზას და მაღალ შენობაში გაუჩინარდება.

ეს სოფელი დიმია. მაღალ სახლში კოლმეურნეობის კანტორაა. ქალს იზა ჰქვია. პირველ სართულზე, ხელმარჯვნივ, კარს შეაღებს. ფანჯრის წინ ქალებს მაგიდა გაუშლიათ. შესვენებაა და საუზმობენ. აქ ხიზანი საწარმოა, ორ პატარა ოთახში ჩატეული. სულ ოთხი მაგიდა დგას, სიგრძივ შუაში აწეული და ნაპირებდაქანებული. თითოეულ მხარეს ორ-ორი სამუშაო ადგილია. რამდენიმე წუთის შემდეგ ამ მაგიდებს თექვსმეტი ქალი შემოუსხდება და ჩალიჩების ქსოვას დაიწყებს. ასე ჰქვია აქაურ ნაწარმს, რომელსაც ზოგჯერ „ჟგუტებსაც" ეძახიან.

ქსოვენ კაბელებით, რომლებიც ისე წვრილია, რომ შორიდან მსხვილად დაგრეხილ შალის ძაფს წააგავს და თან შვიდფერია. ეს განსხვავებული ფერადოვნება აადვილებს, რომ მათი ბოლოები ერთმანეთის გვერდით ზუსტად საჭირო თანამიმდევრობით ჩალაგდეს. ოდნავი ადგილშენაცვლება და შეცდომას ვერ აიცდენ თავიდან.

მაგრამ აქვეა დალი ენდელაძე, წუნმდებელი, ახალგაზრდა ქალი, რომლის ფხიზელ თვალს მცირეოდენი გადახრაც არ გამოეპარება.

გარეთ, კანტორის მზით გამთბარ კედელთან, გრძელი სკამი მიუდგამთ. იზა ჩემს გვერდით ჩამოჯდება. ორივეს სახეში ჩაგვჩერებია მზე და ძირს გვახედებს.

ის მიამბობს, რომ გოგო-ბიჭს ზრდის, რომ აქ ზოვრეთიდან გამოთხოვდა. რობაქიძის ქალია და გიორგიძეს ჰყავს. ქმარი ვარციხის ღვინის ქარხანაში მუშაობს. ოთხი წელია, რაც ეს საამქრო გაიხსნა. გახსნის დღიდან მოვიდა და თვეში საშუალოდ 160 მანეთს იღებს... კმაყოფილია, რადგან ეს მისთვის დამატებითი შემოსავალია. ის ხომ კოლმეურნეობაშიც შრომობს.

ჩვენს წინ ჩრდილი ეცემა. დალი ენდელაძე დაგვდგომია თავზე.

— საუკეთესო მუშაა, დღეში სამი ჩალიჩის ნაცვლად ოთხს ასწრებს, თუ დაძაბვით მუშაობს — ხუთსაც, — მიხსნის დალი.

— ზამთრობით, — კი ბატონო, მარა ზაფხულობით ნამეტანი ბევრი საქმე იყრის თავს: ქებით არ ვიტყვი და, ჩემი ვენახი ყველას სჯობს ამ კუთხეში. კაიხელაც არის — სამი მეათედი. ყოველწლიურად პრემიებს მაძლევენ. ახლაც ხუთასი მანეთი მაქვს ასაღები...

დალი სიტყვას ჩამოართმევს და წვრილად მოთვლის, რომ წლეულს იზა გიორგიძემ თითქმის ოთხ ტონამდე ყურძენი დაკრიფა თავის გაპიროვნებულ ვენახში და ამით საშუალო საჰექტარო მოსავლიანობას ორჯერ გადაამეტა. ასევე ხახვიც გადაჭარბებით მოიყვანა და აბრეშუმის პარკიც. მაგის ბიჭი მამუკა რუსთავში წაჰყვა კოლმეურნეობის მანქანას, რომ ბჟოლის ფოთოლი ჩამოეტანა ჭიისათვის. თუმცა ბჟოლები აქაც კი აქვთ, მაგრამ ბოლომდე არ ჰყოფნით, რადგან ბევრი აბრეშუმი მოჰყავთ...

მერე ცოტას შეყოვნდება და გაიხსენებს, რომ, ვიდრე ეს საწარმო ფეხს აიდგამდა, ის და იზა ერთად დადიოდნენ ფოთლის საკრეფად... მოწინავეები რომ იყვნენ, იმიტომ მიიღეს ახლადგახსნილ საამქროში...

დალიც ახალგაზრდა ქალია. ენერგიული, ცოცხალი, მოუსვენარი სახე აქვს და ჭკვიანი გამოხედვა. სხაპასხუპით, მაგრამ დალაგებულად ლაპარაკობს...

და იგი ჰყვება, თუ როგორ „დასახლდა" დიმში ლენინგრადული ჩალიჩების საწარმო, როგორ ეძებდა რაიონის ხელმძღვანელობა ისეთ ობიექტს, ქალებს რომ დაასაქმებდა, დამხმარე საამქროებს რომ გახსნიდა და ხალხს ახალი შემოსავლის წყაროს გაუჩენდა. აქაური სოფლები ხომ უმთავრესად ქალების შრომაზეა დამყარებული. კაცები ქუთაისსა და ზესტაფონში მუშაობენ და შინ დაბრუნებულნი, თუმცა ხელს შეაშველებენ თავიანთ მეუღლეებს, დებს და დედებს, თუმცა ზოგს ნაკვეთებიც გაუპიროვნებია, მაინც სამ მეხუთედზე მეტი კოლმეურნეობის მიერ მოყვანილი ყურძნისა, ხილისა, ბოსტნეულისა, მარცვლეულისა და საერთოდ მთელი დოვლათისა ქალების წილად მოდის. აბრეშუმის პარკი ხომ მთლიანად მათ ეკუთვნით. და თუ შარშან დიმის სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობაში ყველა სახელმწიფო დავალება გადაჭარბებით შესრულდა, ძირითადად აქაური გამრჯე დედაკაცების წყალობით. მოდი და ხელს ნუ შეუწყობ, მათს შესაძლებლობებს ფრთებს ნუ გააშლევინებ...

და, აი, ქუთაისში მიაგნეს ლენინგრადის სახელგანთქმული ქარხნის „კრასნაია ზარიას" ფილიალს, რომელიც ჩალიჩებს ამზადებს ლენინგრადელთა დაკვეთით. ასე დამყარდა კავშირი ქარხანასთან, რომელიც დათანხმდა, მაიაკოვსკის რაიონის სოფლებშიც გაეხსნა პატარ-პატარა საამქროები. ჩალიჩების წარმოება იმიტომაც აღმოჩნდა ხელსაყრელი, რომ იგი რთულ და ძვირად ღირებულ დაზგებს არ მოითხოვს და ადვილად გასავრცელებელია... მერე ლენინგრადში მიავლინეს ოთხი ქალი ამ ხელობის შესასწავლად. პირველი საამქრო ობჩაში დაეფუძნა, ყოფილი ღვინის ქარხნის შენობაში. ეს იყო 1979 წელს. ამ დროიდან დაიწყო ყველაფერი ობჩის თაოსნობით. ადმინისტრაცია და თავი საწარმო ახლაც იქაა... დირექტორი ავთანდილ ქარაბაკი გახლავთ.

ერთ წელსაც არ გაუვლია, რომ წამოწყების დიდი სიკეთე აშკარა გახდა ყველასათვის და ობჩის ოთხივე კოლმეურნეობა ჩაება ჩალიჩების ქსოვაში, ასე რომ, თუ მათ პირველ წელს 104 ათასი მანეთის სამუშაო შეასრულეს, მეორე წელს 464 ათას მანეთამდე ავიდნენ.

დალი ენდელაძემ ასე დაწვრილებით იმიტომაც იცის ეს ამბები, რომ თვითონ იმ პირველ ნაკადში მოხვდა, რომელიც ლენინგრადიდან დაბრუნებულ ქალებს დაემოწაფა. ასე გახდა იგი დიმის საამქროს წუნმდებელი. ადრე მოსულები უკვე საქმის ოსტატებად მუშაობენ, ახალგაზრდები კი ჯერ სწავლობენ — მანანა ყიფიანი, ინგა კახიძე, ლია სანტარაძე... ლია სულ ბოლოს მოვიდა და დალიც განსაკუთრებით მას დასტრიალებს თავს...

შესვენება მთავრდება და ქალები თავიანთ სამუშაოს მიაშურებენ... მაგრამ ვიდრე ეზო დაცარიელდებოდეს, თავმჯდომარე გივი შავგულიძე გამოჩნდება, ეტყობა ისიც შესვენებიდან ბრუნდება. გვერდით მაღალი, ჭარმაგი დედაკაცი მოსდევს, გამხდარი, შავთავშლიანი, შავკაბიანი, რომელზეც ნაცრისფერი პალტო შემოუცვამს. ქალი ახალგაზრდულად გამართული მოდის, სწრაფი ნაბიჯით, ნაოჭდასხმულ სახეზე ლურჯი თვალები უციმციმებს.

ეს ჟუჟუნა ჭულუხაძეა, ერთ-ერთი მოწინავეთაგანი. ომის შემდეგ შეუცვლელი მეაბრეშუმე-მეგოლურიაო, — ასე აცნობენ გარეშეებს შრომაში გაკაჟებულ ქალს და იმასაც დაუმატებენ, რომ არ ყოფილა ისეთი წელიწადი, გეგმა გადაჭარბებით არ შეესრულებინოსო. როცა ჟუჟუნას კაიქალობაზე ლაპარაკობენ, უთუოდ იმასაც დასძენენ, რომ მეუღლე სამამულო ომის ინვალიდი ჰყავს, რომელსაც მუდმივი თვალყური და მოვლა სჭირდება და ქალი ამ შემთხვევაშიც დაუზარელად ასრულებს თავის მოვალეობას. სამი შვილი გაუზრდია: ვაჟი ქუთაისის ავტოქარხნის ინჟინერია, გოგოებმაც თავისი გზა მონახეს — საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე გათხოვდნენ. შინ ცოლ-ქმარი დარჩა; მაგრამ ჟუჟუნა არც ასაკს უთმობს, არც მარტოობას. რამდენსაც ახალგაზრდობაში შრომობდა, ახლაც იმდენს შრომობს, თუ მეტს არა. შარშან მისმა რგოლმა 387-ის ნაცვლად 478 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩააბარა, თითქმის ნახევარი ტონა, ხუთნი კი იყვნენ.

ვენახსაც ვუვლით, — ამბობს მეგოლური, — მაგრამ ჯერ ახალშენია და მოსავლით თავს ვერ მოგაწონებთო. საუბრიდან ირკვევა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუქუნა ჭულუხაძეს თუთის სათესიც ჰქონია ჩაბარებული და სანერგეც. ძველი პლანტაცია გაუახალშენებია თავისივე დანამყენებული ნერგებით. ორივე ნაკვეთი სახლთან ახლოსაა და უქმად დრო არ ეკარგება. გამგეობის წევრია. საერთო საქმის განსჯისას აზრს ეკითხებიან. არავითარ ღონისძიებას არ გამოაკლდება. ამაყობს, რომ რაიონის მეაბრეშუმეთა სოციალისტურ შეჯიბრებაში ყოველთვის იმარჯვებს (გარდამავალი დროშის მფლობელია).

თავმჯდომარეს გივი შავგულიძეს დიდი დაფიქრება არ სჭირდება — მოწინავეთა დასახელებას ციური ანაკიძითა და ლალა შალამბერიძით დაიწყებს.

ციური და ლალა მეზობლები და მეგობრები არიან. დიდი გულმოდგინებით უვლიან ვაზს. მათს ვენახში რომ გადაიხედოთ, გაგეხარდებათ, ისეა გაწკრიალებული, კოხტად აკრული და გაფურჩნული. შეწამვლა რომ დაიწყება, მაშინ უნდა ნახოთ ეს ქალები. ტრაქტორს ნაკვეთში აღარ უშვებენ, თვითონ აიკიდებენ მძიმე, ხელით სარწყავ მანქანებს და ერთმანეთს ჩაფებით უზიდავენ შაბიამნიან ხსნარს. მექანიკური შესხურება განა იმდენ მოსავალს მოგვცემს, რამდენსაც ახლა ვღებულობთო, ირწმუნებიან ისინი და, მართლაც, უჩვეულო მოსავალი მოჰყავთ. შარშან ციურიმ გეგმიური 1710 კილოგრამის ნაცვლად 3515 კილოგრამი ყურძენი მოიწია, ლალამ კი 880-ის მაგიერ — 1897 კილოგრამი.

უხარია თავმჯდომარეს, რომ ასეთი ძლიერი ხასიათის ადამიანებით არის დასახლებული დიმი... ისინი განსაზღვრავენ და წარმართავენ სოფლის ხასიათსაც, რადგან დიდია მათი მაგალითის ზემოქმედების ძალა... ასეთ ადამიანებს შორის მუშაობაც ადვილდება.

ცხოვრება წინ მიდის. დიმიც ფეხაწყობით ცდილობს, მას გაჰყვეს: საითაც გაიხედავთ, ახალი სახლები შემოგანათებთ — მაღლები, ფართო აივნიანები, ფერადები და ლამაზები. მალე ამ სახლებში ბუნებრივი გაზის ცისფერი ალი აციმციმდება. დიმელებს ორი საშუალო და ერთი რვაწლიანი სკოლა აქვთ, აფთიაქი და საექიმო პუნქტი, კლუბი და ბიბლიოთეკა, ბაგა-ბაღი და საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი. ავტონაწილების მაღაზიასაც კი იპოვნით დიმში. მთავარი გზა მოასფალტებულია. საუბნო გზები — მოხრეშილი...

სოფელს ახალი, თანამედროვე სახე მიუღია. იგი ყოველდღიურად და შეუმჩნევლად კიდევ იცვლება. იცვლება სოფლის შინაგანი რიტმიც. სოფლის შუაგულში პატარა საწარმოს გამოჩენა ახალი ცვლილების დასაწყისია. თუმცა იქ ჯერჯერობით თექვსმეტი ქალი მუშაობს, მაგრამ ხვალინდელი დღე ამ წარმოების სასარგებლოდ იზრუნებს: წელს დიმის საბავშვო ბაღს ახალმოსახლეობა მიულოცეს, მალე ძველი შენობა საამქროს განკარგულებაში გადავა, გაფართოვდება და მუშების რიცხვიც მოიმატებს. 50-60 ქალი მიიღებს იქ სამუშაოს.

ამასთანავე უკვე არსებობს პროექტი ახალი შენობისა, რომელიც კანტორის ეზოში აიგება.



მქაბელე დარეჯან სახანბერიძე

დიმი და ობჩა გამონაკლისი როდია. ჩალიჩების საამქროებმა მაიკოვსკის რაიონის სხვა სოფლებშიც მოიკიდა ფეხი.

დაბაშიც ვნახე ერთი მათგანი. იგი ბევრად დიდია, ვიდრე დიმისა. 52 ათასი მანეთის და ოცდაათამდე სახეობის ჩალიჩა მზადდება ყოველთვიურად: აქაური მუშაქალები კოლმეურნეებიც არიან და გეგმებსაც გადაჭარბებით ასრულებენ.

ჩალიჩების ქსოვისათვის ხელი მოუკიდიათ ხანსა და ზეგანშიც. წლეულს ახალი საამქროები გაიხსნება საკრაულაში, წითელხევსა და ფერსათში. სოფლად ხალხი დამაგრდება და ყველა საამქრო ერთად — სამეურნეობათაშორისო სქემიური კაბელების მთელი საწარმო — წლეულს 1.030 ათასი მანეთის პროდუქციას გამოუშვებს, ხოლო გაისად — მილიონ რვაასიათასი მანეთისას...

ასე მკვიდრდება სოფლად ქალაქური შრომის წესი და რიგი. (ახლა ეს ქალები ერთდროულად გლეხებიც არიან და მუშებიც — აი, რა არის განსაკუთრებით ახალი და მნიშვნელოვანი: ეს დაძაბული, ორი სახის შრომა) თუმცალა მასში ჯერჯერობით მოსახლეობის ძალზე მცირე ნაწილია ჩაბმული, — მაინც კეთილ გავლენას ახდენს სოფლის საერთო განწყობილებასა და შეხედულებებზე.

ნათელი განწყობილებით დავცილდი ფერთას, დიმს, ობჩას, ბაღდადის მთებს...

და, თუმცა ცხოვრება ისეც ჩქარა მიედინება, მე კიდევ უფრო მეჩქარება ვნახო, როგორ დაიწყებენ თავიანთ სოფლებში დაბრუნებას ისინი, ადრე რომ ქალაქს დაეხარბნენ.



დ. ენდელაძე და ი. გიორგიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კეთილი კვალი

— დღეს ახალი ვენახის გაშენებაში უნდა მიეხმარო მეოთხე ბრიგადას, — უთხრა გოგია ქადაგიძემ ციცინოს.

გოგია იმ სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირია, სადაც ციცინო მენთეშაშვილი მუშაობს. მევენახეობაში მომუშავე ტრაქტორისტისათვის, ალბათ ყველაზე ძნელი საქმე ნერგის რგვაა. ასე მოეჩვენა მექანიზატორ ქალიშვილს, რადგან ვაზის რგვაზე ჯერ არავის დაესაქმებინა და გულში შიშის ჭია შეუჩნდა, ვაითუ, ვერ შევძლოო.

ციცინოს უსაფუძვლოდ როდი ეშინოდა, სულ ორიოდე თვე იყო გასული, რაც „ტ-25“ მარკის ტრაქტორის საჭეს დაეუფლა და უცებ ვენახის გაშენება დაავალეს.

— ნუ გეშინია, იოლი საქმეა, ტრაქტორს აი აქ ჩააყენებ, ნელა ატარებ, ვიდრე ჰიდრავლიკური ბურღით მიწას გაბურღავენ, მოიცდი, მერე ისევ გააგრძელებ გზას, — დაარიგა მევენახე აგრონომმა შიო ალადაშვილმა.

რაკი ენდობოდნენ და მისი იმედი ჰქონდათ, ციცინომაც ტრაქტორის კაბინას მიაშურა და სტარტერს ფეხი დააჭირა. ტრაქტორი მაშინვე აგუგუნდა, კვამლი ბოლქვ-ბოლქვად ავარდა ცისკენ.

ტრაქტორს წყლიანი ცისტერნა მიუბეს, ზედ ჰიდრავლიკური მილგაყვანილობა, ორი ჰიდრობურღი გამართეს და პლანტაჟში ჩააყენეს.

მრგველებს ნერგი უხვად მოემარაგებინათ, რვა-ათი კაცი ემსახურებოდა ტრაქტორს. ჰიდრობურღით ორმოებს იღებდნენ, ნერგს სინესტე რომ ჰქონოდა, ორმოში პნევმატური გზით წყალს უშვებდნენ და წინ-წინ მიდიოდნენ. დანარჩენები ნერგებს ორმოებში დებდნენ, მიწას უტკეპნიდნენ და, მავნებლებს რომ არ დაეზიანებინა და ყინვას არ დაეზრო, კოკოლებს უკეთებდნენ...

პირველი რიგი ბოლომდე რომ გაიტანეს, ციცინოს ნამუშევარი შეუქეს. მის საცქერლად აგრონომი, ბრიგადირი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე და მისი მამაც მოვიდნენ. რომ გაიგო, ციცინო ვაზის რგვაზე ეხმარება მევენახეებსო, მშობლისთვის გულს არ მოეთმინა და წამოსულიყო.

ქებამ ფრთები შეასხა ციცინოს. იმ დღეს, რომ იტყვიან, გემრიელად იმუშავა, ვიდრე რამდენიმე ჰექტარზე ვაზის ნერგი არ ჩაყარეს, ქალიშვილს ერთი საათითაც არ დაუ'სვენია. ერთგულად, დიდი სიყვარულით ემსახურებოდა მევენახეებს, სიამაყით დააგუგუნებდა თავის ტრაქტორს.

მეოთხე წელია ციცინო მენთეშაშვილი ტრაქტორს მართავს და იმ დიდ ტრადიციას აგრძელებს, სახელგანთქმულმა მექანიზატორმა ქალმა ელენე ნატროშვილმა რომ დაუტოვა ტიბაანელებს და მთელ სიღნაღის რაიონს.

ამ ვაჟკაცურ პროფესიას ციცინო სულ უბრალო ამბავმა აზიარა. მაშინ მეათე კლასში იყო, რამდენიმე თვე აკლდა სასწავლო წლის დამთავრებას. ერთ დღეს სკოლაში მოსწავლეთა კომკავშირულ კრებას ტიბაანის კოლმეურნეობის მაშინდელი თავმჯდომარე გივი მამაიაშვილი დაესწრო. მან ახალგაზრდებს ურჩია ორიოდე წელი მაინც დარჩენილიყვნენ კოლმეურნეობაში და უფროსებს მხარში ამოსდგომოდნენ.

აი მაშინ, ციცინომ განაცხადა, კოლმეურნეობაში დავრჩები და მექანიზატორის პროფესიას დავეუფლებიო. მას სკოლაში ავტომანქანის ტარება შეესწავლა და ტრაქტორის მართვა არ გაუჭირდებოდა.

ქალიშვილმა სიტყვა შეასრულა, კოლმეურნეობაში სამუშაოდ პირველი მივიდა. ციცინო სატრაქტორო პარკში გაგზავნეს, სადაც გულთბილად მიიღეს, ახალი ტრაქტორი კი ჯერ ვერ ანდეს, ძველი მისცეს და პარკის ტერიტორიაზე ავარჯიშეს. ხანდახან ვენახებშიც მიჰყვებოდა ციცინო წამვლაზე მომუშავე მექანიზატორებს, უკვირდებოდა, სწავლობდა მათს საქმიანობას. მალე ახალთახალი „მ-25“ ჩააბარეს.

კოლმეურნეობაში, მითუმეტეს მევენახეებთან, საქმეს რა გამოლევს: ვენახების რიგთაშორისების ხვნა, ნასხლავის გამოტანა, მწვანე ოპერაციები, შეწამვლა, რთველი და ღვინის ქარხნებში ყურძნის გადაზიდვა... ყველაფერ ამას ციცინო მარჯვედ ასრულებდა, არავის ჩამორჩებოდა, თავდაუზოგავად, მონდომებით შრომობდა...

ალბათ მკითხველს მისი შრომის შედეგებიც აინტერესებს. 1981 წელს, ვიდრე გაიწაფებოდა და ტრაქტორს საფუძვლიანად დაეუფლებოდა 76 კაცდღე გამოიმუშავა, 1982 წელს — 246, 1983 წელს — 250. წლეულს თუ სამუშაო საკმარისი მექნება, უფრო მეტს გამოვიმუშავებო, — ამბობს ციცინო. მისი შრომის ფულადი ანაზღაურება თვეში 250—260 მანეთია, ეკონომიურად ხარჯავს საწვავს, ყოველდღიურ სამუშაოს 110—120 პროცენტით ასრულებს.

ერთხელ ტიბაანის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანს გივი შიუკაშვილს სახალხო დეპუტატების სიღნაღის რაისაბჭოს აღმასკომიდან ტელეფონით შეატყობინეს, შენ და ციცინო მენთეშაშვილი აღმასკომის თავმჯდომარესთან უნდა გამოცხადდეთო. რაზე იბარებდნენ, არ იცოდნენ, ხან რა იფიქრეს, ხან-რა.

თავმჯდომარემ გულიკო ნადაშვილმა ორივე თავაზიანად მიიღო და შეხვედრის მიზეზიც გაანდო: ციცინოს, როგორც მოწინავე მექანიზატორს, ავტომანქანა „ვოლგა“ რიგგარეშე შესთავაზა. ეს ისეთი მოულოდნელი სიხარული იყო ციცინოსათვის, რომ მადლობის თქმა ძლივსღა მოახერხა.

მეორე დღეს ქსანში ძმასთან ერთად წავიდა „გაზ-24“-ის მისაღებად.

ახლა სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის ვენახებში დიდი მუშაობაა გაჩაღებული. ძველ, გამოცდილ მექანიზატორთა გვერდით თავდადებით შრომობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატი ციცინო მენთეშაშვილი.

— კეთილ კვალს მიჰყვება, ცხოვრებაში არ ინანებს, შრომა ათმაგად დაუფასდება, — ამბობს ელენე ბებია და ახალგაზრდობის იმ დღეებს იხსენებს, როცა თვითონაც ტრაქტორის საჭეს უჯდა და ამ დალოცვილ, ქართულ მიწაზე კვალი გაჰქონდა.

ვ. ასლამაზიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მისი საზრუნავი

ერთხელ თუ შეხვდით, სამუდამოდ დაიხსომებთ ამ მშვენიერ ქალს, ანდა, შეიძლება პირველ დანახვისთანავე იცნოთ:

იგი ხომ ცნობილი კომპოზიტორის სანდრო მირიანაშვილის სიმღერებს ასრულებდა ხშირად, მეგობარ ქალებთან ერთად. ქართულ სამოსელში გამოწყობილი მომღერლები (მილიცა აბაშიძე, ეკატერინე მჭედლიძე, ალექსანდრა ჯანელიძე და ნინო ლოლობერიძე) მთელი გულით მღეროდნენ „ცა ფირუზ, ხმელეთზურმუხტოს".

მღეროდნენ გულში ჩამწვდომად,
ამაღლებულად,
დრამატულად.

და ყოველთვის გვიხაროდა მათი გამოჩენა: როიალთან კომპოზიტორი, თავად კი — ავანსცენასთან მდგარნი, ტანადები, ქართველ ქალთა მშვენებით გაბრწყინებულნი, დიდი აკაკის ლექსით შეძრულნი, ჰანგით მოხიბლულნი.

ქალბატონი ნინო ლოლობერიძისათვის ეს მხოლოდ ერთი ეპიზოდია, შინაარსიანი, ამაღლებული ცხოვრების ერთი ამღერებული ეპიზოდი. და მაინც თავი დაგვახსომა... და თუ ზოგისათვის უცნობად დარჩა მისი ჭეშმარიტი მისწრაფება, ეს ისევ მისივე მოკრძალებული ბუნებიდან მომდინარეობს.

ნინო ლოლობერიძე პროფესიით ფილოლოგი და ისტორიკოსი — კარგახანს საქართველოს სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელი გახლდათ, ამჟამად არქეოლოგიური ცენტრის უფროსი მეცნიერი მუშაკია, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, მკვლევარეთნოგრაფი, საინტერესო შრომების ავტორი.

ქალბატონი ნინო შემთხვევით არ ხლებია მისთვის სათაყვანო მეცნიერებას. გაზვიადებად ნუ ჩათვლის მკითხველი, თუ ვიტყვით, რომ მეცნიერი ქალი მშობელი ხალხის ისტორიას თითქოს ფესვებით უკავშირდება: დედის მხრით, ხევის ერთერთი თავკაცის, კეთილშობილი ქართველი ინტელიგენტის — ცნობილი დიმიტრი ყაზბეგის შვილიშვილი, მამით — საზოგადო მოღვაწეების ლოლობერიძეების ოჯახის ნაშიერი, მეუღლით... აქ კაცმა კალამი გვერდზე უნდა გადადოს და სევდიანად გახედოს ათეულ წლებს: გოგი ლომთათიძე! ეს სახელი სიყვარულით აჟღერდა ყველასათვის, ვისაც ქართველი ერის ისტორია და არქეოლოგია უყვარდა, ყველასათვის, ვისაც კაცური კაცობა სწამს, ყველასათვის, ვისაც სიდინჯისა და მგზნებარების ერთარსება, მეცნიერული სინდისისა და საქმისადმი ფანატური სიყვარულის კეთილშედეგიანობისა სწამს. ამიტომ, ამ ორი ადამიანის შეხვედრა ერთგვარად კანონზომიერი იყო. გოგი ლომთათიძე ნაადრევად წავიდა, მაგრამ ქალბატონი ნინოსთვის იგი მარად ცოცხალია. და ამ უკვდავებასთან თანაზიარობა გახდა სწორედ მისი საქმიანობის შინაარსი. ამ თანაზიარობით ეახლა ნინო გოგი ლომთათიძესთან ერთად საზღვარგარეთიდან ახლადჩამოსულ დიდ მეცნიერს, უხუცეს ექვთიმე თაყაიშვილს და სიცოცხლის ბოლო დღემდე არ მოშორებია მას. ეს ორი ადამიანი ერთად უსხდნენ დიდებულ ექვთიმე თაყაიშვილს, წერდნენ მისი კარნახით მემუარებს, თავს უყრიდნენ და აწესრიგებდნენ მის ქაღალდებს, ცდილობდნენ შთამომავლობისათვის შემოენახათ ექვთიმეს ყოველი სიტყვა, გამონათქვამი, შეხედულებები... წლების განმავლობაში სამშობლოდან შორს მყოფი, სახელოვანი მეცნიერი გულწრფელად ხარობდა სათაყვანებელი სამშობლოს წარმატებებით, არქეოლოგიურ ძიებათა სიახლეებით. და, რა თქმა უნდა, ორი ახალგაზრდა ისტორიკოსის შემწეობა კეთილ ნაყოფს იღებდა... ესეც ხომ უკვდავებასთან თანაზიარობაა! ამიტომ ნინო ლოლობერიძესთან ურთიერთობა მეტად საინტერესო უნდა იყოს ადამიანისათვის. მის მყუდრო ბინაშიც ხომ ფაქიზად და განსწავლულად ინახება ყოველი ქაღალდი, ყოველი ბარათი, ყოველი წიგნი, წინაპართა მიმოწერით (მათ შორის ელისაბედ ყაზბეგის მიმოწერაც) დაწყებული და გოგი ლომთათიძის დღიურებით დამთავრებული. ეს ერთგვარი მიახლოებაა წარსულთან, პატივისცემითა და კრძალვით მიახლოება. ამ წარსულსა და დღევანდელობას შორის კი დგას ქართველი ქალი, რომელიც დაუშრეტელი ენერგიით ემსახურება ერთხელ არჩეულ გზას; მეტად საინტერესო და მიმზიდველია ნინო ლოლობერიძის წერილები და შრომები, რომელთა დიდი ნაწილი ეთნოგრაფიულ კრებულებში იბეჭდება, ნაწილი — პრესაში. მათი თემაა ხალხური აღზრდის წესები, ხალხური საბავშვო გართობა-თამაშობები, ხალხური საბავშვო ლექსები და სხვ. ამ სერიას, ერთად თავმოყრილს რომ კითხულობთ, გრძნობთ, რაოდენ დიდი შრომა გაუწევია ეთნოგრაფ ქალს: საქართველოს მთიანეთი, საქართველოს ხეობები, იმერეთი, გურია, სამეგრელო, თუშეთი, სვანეთი ჩინებულად, შეისწავლა ქალბატონმა ნინომ. შეიძლება ითქვას, იგი თავის წვლილს იღებს, რათა არ დაიკარგოს, დავიწყებას არ მიეცეს ბავშვთა ხალხური გართობა-თამაშობები, ხალხური აღზრდის წესები. „ხალხური აღზრდის წესები აღმოსავლეთ მთიანეთში", „ხალხური საბავშვო გართობა-თამაში და სათამაშოები ქსნის ხეობაში", „ხალხური აღზრდის წესები და საბავშვო გართობა-თამაშობები იმერეთში", „ხალხური აღზრდის წესები სამეგრელოში", „ხალხური აღზრდის წესები გურიაში", „აღვადგინოთ მხატვრული ხელოსნობის კარგი ტრადიციები" (თანაავტორი), „გიორგი ყაზბეგი და სამხრეთ საქართველო", „ზღაპრული სამყარო", „დედოფალების სამყაროში", „ქართული ხალხური

დედოფალები“. „თუშური საბავშვო გართობა-თამაში და სათამაშოები“, „ოქროს კაცუნა“ (არქეოლოგიური მოთხრობა) და ბევრი სხვა. ამ ნაშრომთა მიხედვით შეიძლება თქვა: რა კარგი ყოფილა საქართველოში დაუნჯებული ხალხური აღზრდის მასალა, მოგინდეს მათი ავტორის გაცნობა, მიაღწიო ამასაც და ქალბატონ ნინო ლოლობერიძესთან შეაღო მშვენიერების კარი, მშვენიერებისა, რომლის შეცნობა-შესწავლას შეგნებულად ხმარდება ერთი სიცოცხლე... ჯერ ხალხური თოჯინები და მათი კატალოგი ღირს ერთ რამედ! მერე მათი სახელები, — ნაირ-ნაირი, ფერად-ფერადი, ვით ის ფანტაზია, რომლითაც საოცნებობით იქმნებოდა ეს თოჯინები: („დედოფალა დალი“, „გუგა“, „შვილიკა“, „დაყანჩული კუკლა“, „ძიძი-ქალა“ „ძონძი-კუკი“ და სხვ). ნაფოტები, ნაკუწები, ფერადი ყაჭის ძაფები, მატყლი, ნართი, ბამბა, ჩხირები — ყველაფერი, ყოველი მასალა ქალისა თუ ბავშვის ხელით განუმეორებელ ინდივიდუალურ თოჯინად იქცეოდა. შესაძლოა, შორეულ ფესვებში რიტუალურ დანიშნულების თოჯინა-დედოფლად, შემდეგ და შემდეგ კი ქართველი ბავშვის გასართობად, მისი პატარა ცხოვრების გასალამაზებლად და ქალბატონი ნინო ლოლობერიძის შრომის ლამაზი ნაკადიც თავმდაბლად ერთვის ქართული მეცნიერების ზღვას. და ვინც ამ ნაკადულს დაინახავს და შენიშნავს, არ შეიძლება მადლობის გრძნობით არ აღივსოს მშვენიერი ქართველი ქალოსადმი — ნინო ლოლობერიძისადმი!

ამჟამად კი არა, უკვე 12 წელია ნინო ლოლობერიძის მთავარი საზრუნავი გახდა ადრე წასული, ბევრის ვერმომსწრე მეუღლის გიორგი ლომთათიძის არქივის დამუშავება, მისი ნაშრომების გამომზეურება. როგორც თვითონ ამბობს: „სანამ ცოცხალი ვარ, მინდა ისიც უკვდავყოფილი“ და ყოველ ღონეს ხმარობს აცოცხლოს კიდევაც. გიორგი ლომთათიძის გარდაცვალების შემდეგ, გამოვიდა მისი ორი მონოგრაფია: („ბრინჯაოს სარტყლები და მახვილები სამთავროს ეძველეს სამარხებში“ და „საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I-XIII ს. ს.“). დაიბეჭდა კრებულებში მისი წერილები, მზადდება დასაბეჭდად სხვა შრომებიც. მოსვენებადაკარგულ ნინოს მუდამ შიში დასდევს: „მოვასწრებ კი?“.

ვუსურვოთ მას მიეღწიოს კეთილშობილი მიზნისათვის!

ნ. გიორგაძე.





# ...და ჟღერდა წკრიალა ხმა

ღვაწლმოსილი მომღერლის თამარ ლაპიაშვილის სახელი მტკიცედ აღიბეჭდა თბილისის საოპერო თეატრის ისტორიაში, მისი შემოქმედებითი გზა ხომ ქართული საბჭოთა საოპერო ხელოვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების პერიოდში დაიწყო. იქმნებოდა ახალი სტილი და თემატიკა საოპერო ხელოვნებაში. მაშინ ქართველი მომღერლების წინაშე დადგა ახალი ამოცანები, საჭირო იყო ვოკალურ ხელოვნებაში ახალი საშემსრულებლო მანერისა და ხერხების შემუშავება. ამ წლებში თამარ ლაპიაშვილმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი საბჭოთა ოპერებში მთავარი პარტიების შესრულებით. განასახიერა ყველა ქართული საბჭოთა ოპერის გმირები. ზაქარია ფალიაშვილის ოპერებიდან: ეთერი, მარო, ლატავრა, დიმიტრი არაყიშვილის ოპერა „შოთა რუსთაველიდან“: ნინო და ნესტანი, ანდრიაშვილის ოპერა — „კაკო ყაჩაღში“ — მზია, ოპერა „ლაშქარაში“ — მარადო. ბევრ ოპერაში შეასრულა პარტიები. ეს ოპერებია: ი. გოკიელის „პატარა კახი“, ი. ტუსკიას „სამშობლო“, ა. კერესელიძის „ბაში-აჩუკი“, შ. მშველიძის „ამბავი ტარიელისა“, შ. აზმაიფარაშვილის „ხევისბერი გოჩა“, ა. ბალანჩივაძის „მზია“, გ. კილაძის „ლადო კეცხოველი“, შ. თაქთაქიშვილის „დეპუტატი“.

„მაგონდება ზაქარია ფალიაშვილის სიტყვები, რომელიც მან მოსკოვში წასვლის წინ მითხრა: „აკაკი, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციე თამარს, მას კარგი მომავალი აქვს, განსაკუთრებით ქართულ ოპერებს დაამშვენებს ლამაზი ბელკანტოებით“. — იგონებს აკაკი ანდრიაშვილი. მართლაც იშვიათი ტემბრის, ძლიერი სოპრანო ჰქონია თამარს, რომლის სილამაზე და ორნამენტულობა „მაღალ რეგისტრებში“ უფრო მეტად მჟღავნდებოდა. ასევე მაღალმხატვრული მუსიკალური სცენური სახეები შექმნა თამარმა რუსულსა და დასავლეთის კლასიკურ ოპერებში. ესენია: მოცარტის ოპერა „ფიგაროს ქორწინება“ (გრაფინიას სახე), „ფაუსტი“ (მარგარიტა), პუჩინის „ბოჰემა“ (მიმი), ბიზეს „კარმენი“ (მიქაელა), ოფენბახის „ჰოფმანის ზღაპრები“, რიმსკი-კორსაკოვის „მეფის საცოლე“ (მართა), რუბენშტეინის ოპერა „დემონი“ (თამარი) და იპოლიტოვ-ივანოვის „ღალატი“ (ზეინაბი და რუქაია).

თამარ ლაპიაშვილის ნიჭიერებაზე ბევრ გამოჩენილ ხელოვანს გამოუთქვამს აზრი: „იშვიათად თუ გაიგონებდით ასეთ ხმას“ — დ. მჭედლიძე“; „ვოკალურად ყოველთვის გამოირჩეოდა“ — ვ. დონაძე“; „საოცარ აღფრთოვანებას ვგრძნობდი მასთან სიმღერის დროს“ — ბ. კრავეიშვილი.

თამარმა სტუდენტობის წლებში მონაწილეობა მიიღო მუსიკოს-შემსრულებელთა ლენინგრადის საკავშირო კონკურსში. პრესა წერდა: „თამარ ლაპიაშვილს დარბაზი მქუხარე ტაშით მიაცილებდა. მან მეტად ლამაზად, მოხდენილად იმღერა. მისი გამორჩეული ვოკალური მონაცემები მაღალი შეფასების ღირსია“.



„აბესალომ და ეთერი“ — ეთერი
თ. ლაპიაშვილი





„დემონი“. თამარი.

თავიდანვე ნათელი გახდა მომღერლის შემოქმედებითი აღმავლობა, რადგან ის მკაფიოდ ავლენდა მშვენიერი, ძლიერი სოპრანოს მდიდარ შესაძლებლობებს. სიამოვნებით იგონებს თამარი იმ წლებს, როდესაც ზაქარია ფალიაშვილი ხაზს უსვამდა მის პერსპექტიულობას და თვლიდა ერთ-ერთ საუკეთესო მომღერლად, ამიტომაც ხშირად ამღერებდა, თვითონვე ასწავლიდა თავის ნაწარმოებებს.

1936 წელს დადგა დებიუტის სანატრელი წამი. ოპერა „აბესალომ და ეთერი“! თამარ ლაპიაშვილმა მთელი სიღრმით შეიგრძნო და გადმოგვცა ეთერის ვოკალურ-ტექნიკურად მეტად რთული პარტიის მუსიკალურ-დრამატული სახე. ამის შემდეგ ზედიზედ იმღერა მარო და ლატავრა. აღსანიშნავია, რომ თავისი სცენური მოღვაწეობის მანძილზე, თამარმა სცენასა და კონცერტებზე ორიათასჯერ იმღერა ეთერისა და მაროს პარტიები. გასვენების დროსაც ზაქარია ფალიაშვილს თამარ ლაპიაშვილმა დაამღერა „მაროს ტირილი“...

1949-1950 წლებში თამარ ლაპიაშვილი მოსკოვში მიიწვიეს, ქართული მუსიკის პლენუმზე, იქ მან წარმატებით შეასრულა ქართული არიები, რომანსები და სიმღერები.

თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე 30 წლის მანძილზე ჟღერდა მისი „წკრიალა ხმა“, — როგორც ეს ერთხელ აღნიშნა ქალაქ სოჭში ტრიუმფული გასტროლების დროს მისი მოსმენისას სტალინმა. მან მთელ დისს მადლობა გამოუცხადა. თამარი მონაწილეა მოსკოვში ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის პირველი დეკადისა. „ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც თბილისის საოპერო თეატრი ლენინის ორდენით დაჯილდოვდა, იგონებს ქალბატონი თამარი. მომღერალ ქალს მოღვაწეობა უხდებოდა გამოჩენილ პარტნიორებთან (კოზლოვსკი, კრავეიშვილი, გამრეკელი, ქუმსიაშვილი, ანდღულაძე, ამირანაშვილი, ინაშვილი) და რეჟისორებთან: (წუწუნავა, მიქელაძე, სტოლერმანი, მირცხულავა). 1938 წელს თ. ლაპიაშვილი ლენინგრადის დეკადის მონაწილეა. იქ ბრწყინვალედ ასრულებს ეთერის, მაროს და ლატავრას არიებს (ზაქარია ფალიაშვილის ოპერები). 1950 წელს მას რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა. 1968 წელს ხელოვნების მუშაკთა სახლში მოღვაწეობის 30-ე წლისთავი გადაუხადეს. ეს თარიღი სიღნაღმაც აღნიშნა. „მისი თეატრიდან წასვლა დასანანია, მან კარგად დაძლია ქართულ საბჭოთა საოპერო ხელოვნებაში ურთულესი ვოკალის სცენური სახეები. თამარ ლაპიაშვილის წკრიალა ხმა მუდამ სიამოვნებას ჰგვრიდა მსმენელებს, ამიტომ მისი შემოქმედება დიდად დასაფასებელია“ — გულწრფელად აღნიშნეს იმ დღეებში თამარ ლაპიაშვილის მეგობრებმა და კოლეგებმა.

იზა ნადირაძე,
მუსიკისმცოდნე.



„კარმენი“. მიქაელა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ლექსები

ლიდა სტვილია

## შატილო, ციხევ მაღალო

ცას გავცქერ,
ცაი ახლოა,
მზეიც ახლოა,
მთვარეცა...
აქ ვაჟკაცთ სამოსახლოა,
დიაც ვერ გავა გარეთა...
არემარეზე დაგიდით,
ათას ეშმაკის შაგირდი.
ხმალ უნდა შინ და გარეთაც,
ხმალ უნდა დღეც და ღამეცა...
მუდამ ბრძოლა და ომ გქონდა,
აბა, თავი რით დაგეცვა?
მითია ფეხზე რომ დგეხარ,
გალავნებ რომ არ დაგექცა...
არ აგიტირდა მდინარე —
ცალკე მიწა და
ცალკე ცა...
შენი გაშლილი მხარ-ფრთები
დუშმანმა ველარ ჩაკეცა...
აბა, სულ ხმალ არ გჭერიყო?
აბა, აბჯარ არ ჩაგეცვა?
...მე, შენი დაი უმცროსი
ამოველი და გაგეცან...
როგორც ახალოხს ქილები,
სათოფურები იგისხამს,
მწვერვალთა ბანზე შამდგარი,
არ მისცენ შენი ცაი სხვას!
საძირკვლებ აგუოვებია
თეთრი და ლურჯი იითა,
არღუნს ჩადიხარ, პირს იბან
ყოველ მზიანი დილითა,
გალავნებ აგმწვანებია
დეკის და ღვიის ფოთლითა,
ვერ დაგიწუნებ მაგ დუმილს,
მიხარის შენთან ყოფნითა...
...მე შავი ციხე მეგონე,
რა ლამაზ რაიმ ჰყოფილხარ,
მე... მარტო ციხე მეგონე,
რა ვაჟკაც რაიმ ჰყოფილხარ!

## თეთრი თავშალი

(ხელსაქმის უბადლო ოსტატის თათუშა ჩიმაკაძის ხსოვნას).

მოსჩანს ქუქითიდან თვალნათლივ
შენი ობოდირის აღმართი...
—გზები კარგად არის გამშრალი! —
თითქოს ახლაც მესმის ხმა მათი;
— თათუშა მკერავთან მივდივართ
გზები კარგად არი გამშრალი,
უნდა შეგვიკეროს ბალათი,
უნდა მოგვიქსოვოს თავშალი.
... ყაისნალები გავშალე
გამაურჟოლა და გამაცია.
... შენი მოქსოვილი თავშალი, —
აყვავებული აკაცია! —
ჯერ შენი სითბო არ გაცლია,
ფიფქების ფაფარი დავარცხნია,
ქალები,
ქალები ამ ჯავშნის
მხრებზე,
წამოსხმას არ მაცლიან...
ათასი თოვლ-ფიფქი მოსხმია,
ალუჩის ყვავილები უნთია,
ბოდიშის მოხდით მომხსნიან, —
თვლებსა და ფიგურებს უთვლიან...
რატომ დაიღალე ხელები,
რატომ დაიღალე თვალები,
გეგონა მტრედულა თავშლითა
მეც ავფრინდებოდი მთვარემდი?!.
თეთრი თმის სიმშვიდე გმყუდროობდა,
გამოირჩეოდი ყველაში!..
ხუთ შვილს ცოტა არ უნდოდა,
იყავ სულ ქსოვაში, კერვაში,
მუდამ ამშვიდებდი ორ მხარეს,
მშფოთვარ მტერსა და მოყვარეს!..
... დიახაც იქნები გამწყრალი,
სინათლე ენატრებათ შენს თვალებს,
ჩვენ გულის სიმები დამწყდარი, —
ველარ მოგიქსოვეთ ერთმანეთს...
და... — დაგრჩა ძვირფასი მზითევი,...
სად ბუდობ ცხენიწყლის შროშანო,
უშენოდ დადუმდა „ზინგერი",
უშენოდ ჟანგსა სურს მოშალოს....
...შენი შვილიშვილი ქორწინდება,
გაისმა მაღალი სიმღერის ხმა,
ბრწყინვალე პატარძალი მობრძანდება,
ახალი პატრონი „ზინგერისა"
მოგვყავს შენისთანა მაშვრილი,
გზები კარგად არის გამშრალი,
გვახურავს ვითარცა ჯავშანი,
შენი მოქსოვილი თავშალი.

## გაგრის მთის ღამის პეიზაჟი

ტყე შეიმოსა მთვარით, წითელით, —
მოდებულ ხანძარს ფოთლებით იქრობს...
გაგრის ლურჯ მთაზე ჩემი წიფელი
რად დააბერე ჟამთა-სვლის ფიქრო?!

კვითელ ფოთლებზე — ვით საფერფლეზე
წიფელს, იმდენი, რომ არ ეტევა, —
ფოსფოროვანი ხმელი ფესვები
უდევს ანთებულ სიგარეტებად.



* * *

მე მეყოლება ქულა პატარა,
ვარდისფერ ფშვინვით ავსილი ბავშვი,
ის ორეული იქნება შენი,
შენი ლითონი ექნება ხმაში.
მე მეყოლება შენი პატარა
და მე ვასწავლი ღუღუნით ტაატს,
ალბათ ერქმევა ლევანი, არჩილ,
ანდა, ო, სულაც ერქმევა ზაალ.
არ ვიცი, მაგრამ, ჩემი უკბილო
სიცარიელეს აავსებს ვიცი,
მერე ღიმილში, ანდა ტირილში,
გამოუჩნდება ჯერ ორი კიბი.
და სიარულსაც ისწავლის ალბათ,
ჩვენ მოგვენდობა — დედას და მამას.
მერე ვასწავლი სიყვარულს მოძმის,
ერთგულებას და გატანას კაცის,
და კიდევ, კიდევ,
საქართველოს სიყვარულს ნამდვილს, —
სიყვარულს ისეთს
საქართველოსთვის,
როგორიც ნოსტელ
პაატას ჰქონდა...
მე მეყოლება ქულა პატარა,
ვარდისფერ ფშვინვით ავსილი ბავშვი,
ის ორეული იქნება შენი,
შენი ლითონი ექნება ხმაში.

ზიზი გალახაძე

## მამას

ატირდებიან შენს წასვლაზე
  ვაზები, მამი,
მაგ კოჟრიანი ხელის შეხებას
  რომ ვერ იგრძნობენ,
ყველაზე მეტად ატირდებიან
  ვაზები, მამი,
სათუთ სხეულზე შენს მზრუნველობას
  რომ ვერ იგრძნობენ.
ატირდებიან შენს წასვლაზე
  თუთის ხეები,
დილა-სალამოს, რომ გიცქერენ
  დაღლილ თვალებში,
გამოგყვებიან, აჩრდილებად
  გამოგყვებიან
და გიმღერებენ ცისარტყელის
  შვიდფერ სიმღერას.

ლილი გოგებაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „კვირტის ღიმილი“

ქალაქ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების სამმართველომ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციასთან ერთად გამოაცხადა კონკურსი „კვირტის ღიმილი“, რომელიც მიეძღვნა ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს.

საკონკურსოდ წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ლექსი, ჩანახატი, პატარა მოთხრობა, ნოველა, მუსიკალური ნაწარმოები, ნახატი, მცირე ზომის სკულპტურა;

კონკურსის მიზანი იყო მოსწავლეთა ლიტერატურულ-შემოქმედებითი უნარის გამოვლენა, მათი იდეურ-მხატვრული დონის ამაღლება, საუკეთესო ნამუშევრების პოპულარიზაცია.

პირველი ხარისხის დიპლომითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა 17 მოსწავლე, II ხარისხის დიპლომით — 50, ხოლო III ხარისხის დიპლომით — 60.

კონკურსმა გამოავლინა შემოქმედი მოსწავლეები, დაგვანახვა მათი სწრაფვა სიკეთისა და მშვენიერებისაკენ, სიყვარული დედაენისა და სილამაზე მათი სულიერი სამყაროსი.

გთავაზობთ I ხარისხის დიპლომით დაჯილდოებულ, 57-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლის მაია გაგუას ერთ-ერთ ლექსს.

## ნიშანსვეტთან

წითელი,
ლურჯი,
ყვითელი,
მწვანე,
ფერები ცვლიან ერთმანეთს სწრაფად.
ანათებს შუქი საყვარელ სახეს
და რა კარგია ცხოვრება ახლა!..
წითელი,
ლურჯი,
ყვითელი,
მწვანე,
ფერები ცვლიან ერთმანეთს სწრაფად,
მუსიკა ავსებს ოთახის ჰაერს
და ჩვენც მუსიკით სავსე ვართ ალბათ.
წითელი,
ლურჯი,
ყვითელი,
მწვანე,
ფერები ცვლიან ერთმანეთს სწრაფად.
ერთად ვართ, ვხუმრობთ, ვიცინით,
ვცეკვავთ,
ცხოვრება მართლა კარგია ახლა!..
ყვითელი,
მწვანე,
წითელი,
მერე...
ცხოვრების გზაზეც იცვლება შუქი.
მწვანე ანთია ჩვენთვის და ვხარობთ
და სხვა ფერს ახლა ჩვენ არც კი ვუცდით.
ყვითელი,
მწვანე,
წითელი,
მერე,
ცხოვრების გზაზეც იცვლება შუქი.
ყვითელი ფერი ინათებს, როცა
სიბერის თოვლიც ჩამოთოვს სულში.
წითელი,
ლურჯი,
ყვითელი,
მწვანე,
ფერები ცვლიან ერთმანეთს სწრაფად,
ერთად ვართ, ვხუმრობთ, ვიცინით,
ვცეკვავთ,
ცხოვრება ძალზე კარგია ახლა,
ჯერ მწვანე ფერი გვინთია რადგან!

მაია გაგუა



## მთას უბრუნდება მთიელი

# მთები

ჩანახატი

— ბუმ, ბუმ, ბუმ — მთამ დაიგუგუნა.

— რა არის?! შეეხმიანა მეორე.

— მცივა!!

— გცივა?!

— ?!

— რატომ?

— ჰმ, აქამდე კვამლი მათბობდა, სახლებიდან ამოსული კვამლი!!

— მეც მცივა, — გამოტყდა მეორე.

— რა დრო იყო?! —

— გახსოვს იმედა, მართლაც იმედადღა რომ შემოგვრჩა ერთადერთი?

— რამდენს ეხვეწნენ, ბარში ჩამოდი, სხვა თუ არაფერი, დასალაპარაკებლად მაინც არავინ გინდა, კაცის დანახვა არ გინდაო?

— მე თვითონ კაცი ვარ, „ასაძრახად“ საფლავები მეყოფა, ეს მთები, ტყეები მეყოფაო. აქ დავიბადე, აქ გავიზარდე, ამათთან მეტი მექნება სასაუბრო. ბარში ვისთან ჩამოვიდე, რა ვაკეთო. სწორეზე სიარულს სანამ ვისწავლი, ქო, ეშმაკიც მამაკითხავსო.

— არ წავიდა იმედა, აქ მოკვდა, მარტოდმარტო. ცოცხალს ვეღარ ამოუსწრეს.

— არც წავიდოდა. ვინც იმედას იცნობდა, ბარში ჩასვლას არც ეტყოდა.

— ეეჰ, ძირი არ ჰქონდათ, წინაპრების სიყვარული სხეულში არა ჰქონდათ გამჯდარი. სისხლმა დააგვიანა ადუღება, მამა-პაპათა სისხლმა.

— რატომ აიყარნენ? — ფესვები არ იყო ძლიერი, მყარად გადგმული, თორემ ფესვიც ფესვია, ეს გამხმარი ხეც ეჭიდება ჩემს კალთებს, ებღაუჭება, მაგრამ ფესვები... ამოიღე და ესეთი ბარში ჩაიტანე, იხარებს? ეეჰ, ბარი და მთა ორივე ამ მიწისაა, ამ ქვეყნისაა. კაცმა თვითონ უნდა იშრომოს, იწვალოს. ცხოვრება ესეა. მიწა-მიწაა, მაგრამ წინაპრების სისხლით გაჟღენთილი, მათი ნატარი, ნაკვალევი, სულ სხვაა...

— ვაი!..

— მოიცა, რა არის?!

— თითქოს ვიღაცა მთხრის, ფეხი შემოდგეს, ძირი დამიმძიმდა.

— ჩუუ, ნუ კვნესი. ადამიანია, ადამიანი!

— დაბრუნდნენ, ხევსურები დაბრუნდნენ!

— კვნესი? აქამდე უნდა გეკვნესა, ახლა სიხარულის, ბედნიერების დღე დაგვიდგა.

— ყოჩაღ, ხევსურებო! ბედნიერებას გისურვებთ, ამ ჩვენს მიწა-წყალზე სულ სიხარულს გისურვებთ, ხევსურულ დილას, ხევსურულ ქორწილს გისურვებთ...

* * *

... მთებში შეფენილი ბინებიდან კვამლი ადიოდა. ადიოდა, ბურუსს უერთდებოდა, მთებს თეთრ ქუდად ეხვეოდა და ათბობდა, მთებს ათბობდა.

მთები კვნესოდნენ, სიხარულით კვნესოდნენ. გულ-მკერდს ფესვები უჭრიდნენ, ადამიანის ძლიერი, მტკიცე ფესვები.

... მთებს აღარ სციოდათ...

„კვამლი ადიოდა,
მამალი ყიოდა“...

ირმა ჭინჭარაული,
ბარისახოს სკოლა-ინტერნატის
X კლასის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰიმნი მშვიდობას

მუსიკა და ტექსტი
ელენე მიქაშავიძისა




1. მოდით, ბავშვებო, ვიმღეროთ,
რომ ყველგან იყოს მშვიდობა.
ცაში იფრინონ მტრედებმა — 2-ჯერ
მშვიდობა მარად, მშვიდობა!

2. ქვეყნად იხარონ დედებმა,
ქვეყნად იხარონ ბავშვებმა,
ცაში იფრინონ მტრედებმა — 2-ჯერ
მშვიდობის გასამარჯვებლად.

3. მოდით ბავშვებო, ვიმღეროთ,
რომ ყველგან იყოს მშვიდობა.
ცაში იფრინონ მტრედებმა — 2-ჯერ
მშვიდობა მარად, მშვიდობა!





მხატვარი მოდელიორი ნანა კობალაძე





ეროვნული ბიბლიოთეკა



# სხვისი შვილები

„ათი წლის წინათ დედ-მამა უეცრად გამოგვეცალა ხელიდან, ექვსი და-ძმა დავობლდით. კეთილმა ადამიანებმა ქალაქ რუსთავის ბავშვთა სახლში მოგვაწყეს. მზრუნველობა არ გვაკლდა იქ, მაგრამ გვაკლდა მთავარი — მშობლების სითბო და ალერსი (თუმც კი, შეძლებისდაგვარად, არც ამას იშურებდნენ ჩვენი აღმზრდელ-პედაგოგები). დროდადრო ყველას ვიღაც ახლობელი აკითხავდა, ჩვენ კი არავინ გაგვაჩნდა, უნდა შევრიგებოდით უდედმამობის ბედს. მაგრამ მალე ჩვენც გამოგვიჩნდა ასეთი მზრუნველი და მოამაგე ადამიანი — ნინო დეიდა.

ნინო ახვლედიანი თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის ფაკულტეტის დოცენტია, — ბავშვთა სახლში ყოფნიდან მოყოლებული, სითბო და ალერსი რომ არ მოგვაკლო. როდესაც ბავშვთა სახლის ასაკს გავუსწარით, მისი დაუღალავი ზრუნვითა და რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობის დახმარებით საცხოვრებელი ბინის გასაღები ჩაგვაბარეს. ახლა ჩვენ — ექვსი და-ძა ერთ ოჯახად ვცხოვრობთ, საწოლების პირდაპირ დედ-მამის სურათი გვიკიდია, და მუდამ, დაძინებისა და გაღვიძების წინ, ჩვენი გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს ვაბარებთ ნაადრევად წასულ მშობლებს.

ძვირფასო რედაქციავ, ძალიან გთხოვთ დაწეროთ დეიდა ნინოზე! დაე, ყველამ გაიგოს რა თბილი, კეთილი და მოამაგე გული აქვს მას. ნეტარებით ვიგონებთ ქობულეთში, ბორჯომში, ლაშიჭალაში მის გვერდით გატარებულ ზაფხულის არდადეგებს... ის ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ჩვენ უდარდელი ბავშვობა გვქონოდა.

**მიშა, ნიკო, ანატოლი, ლარისა, ლუბა დუდჩენკოები“.**

ბარათს ექვსი უდედმამო ბავშვი აწერს ხელს. ამიტომ შეგვირხია გულის სიმი, გვაპოვნინა ჯერ ისინი და შემდეგ მათი სათაყვანებელი ნინო დეიდა.

ათი წლის წინათ, ბავშვის საშვილებლად, ქალაქ რუსთავის ბავშვთა სახლს მიაშურა ნინო ახვლედიანმა. ექვსი ერთმანეთზე უკეთესი, თვალხატულა პატარები წარუდგინეს, ერთი გვარისანი, ერთი დედ-მამისანი არიანო, — უთხრეს.

ძალზე შეფიქრიანდა ქალი: — ერთმანეთზე უკეთესი ბავშვები არიან და-ძმები, ერთი მათგანი მათ დააცილოს და შინ წამოიყვანოს? არა, ცოდონი არიან! ფიქრში თეთრად გაატარა ღამე, შემდეგ გულმა ისევ რუსთავისაკენ გაუწია. სიმშვიდე და მოსვენება ჰქონდა დაკარგული.

„ერთი გვარისანი, ერთი დედ-მამისანი!“ ჩაესმოდა ყურში. ვერავის გაუმხილა, ბავშვებზე ფიქრი არ ასვენებდა, ყველაზე ერთნაირად ნაღვლობდა. მერე გულითად მეგობარს გაანდო. და-ძმა წამოიყვანეო, ურჩია კეთილმა ქალმა, მაგრამ ეს შეუძლებლად ეჩვენა, სხვებმა რაღა დააშავეს, ეს რა და-ძმობა გამოვაო. არა და, ექვსივეს შინ წაყვანა არ შეეძლო. ამან გადააწყვეტინა ყველაზე ერთნაირად ეზრუნა. იმ დღიდან ნინო რუსთავის გზას ეშურებოდა. ვიდრე მათ საკუთარ ჭერს შესძენდა, და-ძმანი თავისთან მოჰყავდა მორიგეობით, ზაფხულობით ყველანი ერთად იყვნენ.

მაგიდაზე ორი ფოტოალბომია. ყურადღებით ვათვალიერებთ — ზღვაზე, მთაში, თბილისის ისტორიულ ადგილებში, ზოოპარკში, ფუნიკულიორის პლატოზე, მთაწმინდაზე გადაღებულ სურათებს. და ბოლოს სამხედრო ფორმაში გამოწყობილი, ფარაჯიანი ბიჭები გვიღიმიან კედლიდან...

ნინომ ასე ამჯობინა, ბავშვებისათვის უნდა შეენარჩუნებინა ოჯახური, და-ძმური მთლიანობა, სიყვარული და შეუნარჩუნა კიდეც. მყუდრო ბინამ უფრო თბილი გახადა მათი ცხოვრება.

ადვილი როდი გამოდგა მათი ჯანმრთელობისათვის (ზოგიერთ მათგანს მძიმე ქრონიკული დაავადება ჰქონდა), სპეციალობის არჩევისათვის, სასწავლებელში თუ სამუშაოზე მოწყობისათვის, ჩაცმა-დახურვისათვის, ზაფხულობით ზღვაზე, მთისა და სამკურნალო აგარაკებზე წასაყვანად ზრუნვა.

ნინომ კარგად გაართვა თავი ყოველივე ამას და დიდი მოთმინებით, პედაგოგიური ალღოთი და მოზღვავებული დედობრივი სიყვარულით გაათბო მათი ნორჩი გულები, დაიცვა ავი ზრახვებისაგან, რაც ხშირად თან სდევს ობლობას.

ექვსი და-ძმა ბედნიერად ცხოვრობს ერთ ჭერქვეშ.

მიშა — 22 წლისაა, დაამთავრა საშუალო სკოლა და მშენებლობაზე მუშაობს. ნიკო — სავალდებულო სამხედრო სამსახურშია ქალაქ ლენინგრადში. ოჯახში ორჯერ მოვიდა მისი კაიკაცობის მაუწყებელი ბარათი. ლიდა — სართავი კომბინატის მუშაა და მეორე წელია ოჯახს ნივთიერად ეხმარება. ანატოლი თბილისის 75-ე პროფესიულ სასწავლებელში კულინარის პროფესიას ეუფლება; ლარისა — სამრეწველო ტექნიკუმის მეორე კურსის სტუდენტია, ყველაზე უმცროსი ლუბა კომაროვის სახელობის მათემატიკური სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეა. ექვსივე სამაგალითო ყოფაქცევით, ზრდილობითა და წესრიგით გამოირჩევა.

მათ მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის ნინო ახვლედიანს, რომელიც ათი წელია ერთი დღითაც არ მოშორებია ბავშვებს. ჩვენი პარტია და ხელისუფლება უდედმამო ბავშვებს განსაკუთრებით მზრუნველობს, მაგრამ სხვადასხვა საერთო საცხოვრებელში მიმოფანტულთ და-ძმობის სიტკბო ხელიდან ისე შეუმჩნევლად გამოეცლებოდათ, ვერც კი შეიცნობდნენ. ნინომ კი შეკრა და შეადუღაბა ისინი. თითოეულს შეაყვარა არჩეული პროფესია, შეაგნებინა შრომის ყადრი, ჩვენი ქვეყნის ნამდვილ მშენებელ ადამიანებად აქცია ისინი, ყველას თავისი ადგილი მიუჩინა ცხოვრებაში...

ქალბატონმა ნინომ ბევრი რამ ასწავლა მათ — ასწავლა სიკეთე და კაცთმოყვარეობა, ავის კარგისაგან გარჩევა. თვითონ ხომ მთელი სიცოცხლე სიკეთეს თესავს, სიკეთედ დადის — ცნობილი ქიმიკოსის ვალერიან ახვლედიანის ქალიშვილი.

**ნანული ბუკია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლილი იაშვილი



ლილი იაშვილი... მზიური, ღიმილიანი, სათნო ქალი, ნიჭიერი შემოქმედი... რა უდროოდ წავიდა ჩვენგან და რარიგ ძნელია მასზე წარსული დროით ლაპარაკი, რა ძნელია შეეგუო აზრს, რომ უკვე ველარასდროს შეხვდები, აღარ გაგახალისებს, არც გაგამხნევებს!.. რამდენი დაუვიწყარი მოგონება დაგვიტოვა ყველას, ვისაც მასთან ურთიერთობის ბედნიერება ჰქონდა!

ლილი იაშვილის მოღვაწეობა განსაკუთრებით ნაყოფიერია საესტრადო მუსიკაში, რითაც პოპულარობა მოიპოვა ჩვენს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთაც. მისი სიმღერები სწრაფად გავრცელდა ხალხში, შევიდა ჩვენი ესტრადის თვალსაჩინო მომღერლებისა და საოპერო ხელოვნების ოსტატთა რეპერტუარში, ხშირად აჟღერებულა საბჭოეთის მრავალ კუთხეში და საზღვარგარეთ.

ლილი იაშვილმა 1953 წელს დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საკომპოზიციო კლასი. სულ მალე საქართველოს რადიომ ჩაწერა მისი რამდენიმე მელოდიური სიმღერა. მათ შორის იყო ნატიფი გემოვნებითა და ხალასი ლირიკულობით აღბეჭდილი „ია-ია", რომელიც სწრაფად იქცა საყვარელ და პოპულარულ სიმღერად. ორჯერ ჩაიწერა იგი ორკესტრთან ერთად, ჯერ თბილისში, შემდეგ კი მოსკოვში — საკავშირო რადიოში. მისი პირველი შემსრულებლის ლილი გეგელიას მიერ ნამღერი „ია-ია" დღემდე დარჩა ხალხში. დაუვიწყარია სიმღერები ცნობილი დუეტის — ეთერ გვაზავასა და ციცინო ციცქიშვილის შესრულებით: „ნიბლია", „რად მემდური", „რაც უფრო შორს ხარ", „შენთან ერთად", „საღამო თბილისში", გიული ჩოხელის, ედუარდ სეფაშვილის, ებრალიძის ნამღერი „სიყვარულის ზღაპარი"..

ქართული სიმღერის დიდოსტატის, ჩვენგან ასევე უდროოდ წასულის, მერი შილდელის რეპერტუარსაც ამშვენებდა ლილის სიმღერები. რა საოცარი სიღრმის, მშობლიური, დედური ინტონაციებით აღავსო მერიმ ლილის სიმღერა „შვილს". ისინი გულითადი მეგობრებიც იყვნენ. წლების მანძილზე ერთად მუშაობდნენ თბილისის საესტრადო სასწავლებელში, სიმღერის სიყვარულს უნერგავდნენ ახალგაზრდა თაობას.

კიდევ რომელი სიმღერა გავიხსენოთ იმ სამოცდაათამდე სიმღერიდან... „გეპატიჟებით ყველას" — ზურაბ ანჯაფარიძის შესრულებით, კომპოზიტორმა . თბილისის დაარსების 1500 წლისთავს რომ უძღვნა; ან თუნდაც „ბათუმი" — ნანული აბესაძისა და სულიკო კორომშინაძის დუეტით, ასე საყვარელი და განუყრელი, განსაკუთრებით ბათუმელებისათვის! დღეს, როცა პორტში გემები შემოდის, ხშირად გაიგონებთ ამ პოპულარულ სიმღერას... გავიხსენოთ „საქართველო, მშვიდობის ქვეყანა" — მაია ჯაბუა რომ მღეროდა ბავშვობაში ანსამბლ „მზიურთან" ერთად, ჩვენში თუ ჩვენი ქვეყნის გარეთ.

ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ლიპტოვსკი-მიკულაშში სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა საძმო საფლავებია, მათ შორის ქართველებიც არიან. დიდი რუდუნებით მოვლილი, ყვავილებით შემკული საფლავები ჩვენმა ცნობილმა პოეტმა მორის ფოცხიშვილმა ინახულა. „საოცარი გრძნობა დამეუფლა — იგონებს პოეტი, — დავდიოდი საფლავებს შორის, შიგადაშიგ, მათზე წარწერილ სახელებს ცვლიდა პირობითი „ნეზნამი", ე. ი. „უცნობი". ამ შთაბეჭდილებით დავწერე ლექსი, რომელსაც „ნეზნამი" ვუწოდე. ლექსი ძალიან მოეწონა ლილის და შეთხზა სიმღერა, რომელიც ეთერ იოსებიძემ ჩაწერა.

ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტუდიაში სიმღერა „ნეზნამის" ფონოგრამას ვწერდით ლილი იაშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი გადაცემისათვის. კომპოზიტორი შეუძლოდ იყო, ტელეფონის ყურმილით ისმენდა სიმღერას და შენიშვნებს აღნიშნავდა. აღტაცებული იყო ეთერ იოსებიძის შესრულებით.

ბავშვებისათვის ბევრს დაუწერია, მაგრამ ბავშვებს ის გაუხდიათ მეგობრად, ვისაც კარგად ესმის ამ უჩვეულო თავისებური სამყაროს ენა, ვისაც შესწევს უნარი ბავშვთან თავის გატოლებისა, ვისაც შეუძლია გაიგოს მათი სიხარული და განცდები. ასეთი კომპოზიტორი იყო ლილი იაშვილი.

1967 წელს თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში დაიდგა ლილის საბავშვო ოპერეტა „ბაბაჯანას ქოშები"; ამ ოპერეტას წარმატება ხვდა ქართულ სცენაზეც და პოპულარული იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაშიც. ვარშავის ოპერეტის თეატრის მთავარი დირიჟორი, კომპოზიტორი ვლადისლავ სლოვინსკი ლილი იაშვილს სწერდა:

„თქვენს ნაწარმოებს პოლონურად ასე ვუწოდეთ: „ვისაც ეშინია ძველი ქოშებისა". იგი გდინიას მუსიკალურ თეატრში დაიდგა. ამჟამად ამ თეატრის რეპერტუარშია და ბავშვებს ძალიან მოსწონთ".

„ბაბაჯანას ქოშები" პირველი ქართული საბავშვო ოპერეტაა, რომელიც საზღვარგარეთ დაიდგა. ახლახანს, თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრმა განახლებული დადგმა შესთავაზა მაყურებელს. თეატრის კოლექტივმა იგი კომპოზიტორისა და სპექტაკლის დამდგმელის — ბორის გამრეკელის ხსოვნას უძღვნა. დარბაზში იღვრებოდა საუცხოო მელოდიები, რომელიც ერთ საბავშვო ოპერეტას კი არა, ორსაც თავისუფლად ეყოფოდა.

ლილი იაშვილის შემოქმედება მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართულ სპორტთან. კომპოზიტორის ხსოვნისადმი მიძღვნილ წერილში გაზეთი „ლელო" აღნიშნავდა: „ლილი ხომ სწორედ ფიზკულტურისა და სპორტის გზით მოვიდა ხელოვნებაში. 1945 წელს ლილი იაშვილმა გაიმარჯვა საქართველოს სპორტული დელეგაციის გამოსვლისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცხადებულ მუსიკალურ კონკურსში. კომისიის წევრებმა, რომელშიც ცნობილი მუსიკოსები შედიოდნენ, ერთხმად აღიარეს მის მიერ წარმოდგენილი „მუსიკალური ციკლი“. ეს მელოდია მართლაც რომ დიდებულად აჟღერდა მოსკოვში, წითელ მოედანზე, საბჭოთა მთავრობის წინაშე“.

ლილი იაშვილი პირველად თბილისის საბავშვო ბაღებში ხელმძღვანელობდა ნორჩების რიტმული ვარჯიშების მუსიკალურ გაფორმებას. მერე ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში მხატვრული ტანვარჯიშის მომავალ ოსტატებს აკომპანიატორობდა, ბოლოს კი, თითქმის მეოთხედი საუკუნე, სპორტულ ტანვარჯიშში საქართველოს ნაკრების მუდმივი თანამგზავრი და მუსიკალური მოჭირნახულე იყო: მოვარჯიშეებს შესაფერის მელოდიას უდგენდა (ხშირად კი სპეციალურად წერდა) და თვითონვე უკრავდა მათთვის. სად არ ყოფილა ლილი იაშვილი ქართველ სპორტსმენებთან ერთად — ლენინგრადში თუ კიევში, ლვოვში, ვილნიუსში, ტალინში, მოსკოვში ხალხთა სპარტაკიადებზე...

აი, უკვე ოთხი ათეული წელია რადიოთი ისმის დილის გამამხნევებელი ვარჯიში, რომელსაც ცოლ-ქმარი, ლილი იაშვილი და საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი გრიგოლ მამარდაშვილი ატარებენ...

დიდი სიყვარულით მოვამზადე სატელევიზიო გადაცემა კომპოზიტორის შემოქმედებაზე. საჭირო იყო მხოლოდ ვიდეოფირზე გადაღება და ველოდებოდი მის გამოჯანმრთელებას, რაც არ მაეჭვებდა. ბევრჯერ მოვინახულე, ვმსჯელობდით გადაცემის ფორმასა და შინაარსზე. დაჟინებით მთხოვდა, რაც შეიძლება ცოტა საქებარი სიტყვა მეთქვა. „მაყურებელმა და მსმენელებმა თვითონ განსაჯონ, ნურაფერს მოვახვევთ თავს, არ მიყვარს „ოქროს სიტყვებიო“. სატელევიზიო გადაცემა კი ველარ ნახა...

ლილი იაშვილთან გამოთხოვების დღეს მისი ბინა იებით აივსო. მაინც სად იყო ამდენი ია შუა ზამთარში! რეპროდუქტორიდან კი ილვრებოდა „ია-იას“ ასე ნაცნობი, საყვარელი მელოდია, ირგვლივ მიმობნეულ ცოცხალ იებთან ფერშეწყობილი...

საოცარი, შესაშური ბუნების ქალი იყო ლილი: პირდაპირი, უკომპრომისო, კეთილმოსურნე. მაშინაც კი, როცა საზარელი უბედურება დაატყდა თავს — დაკარგა უკეთილშობილესი ვაჟიშვილი გურამი, მაინც გამართულ[illegible] დადიოდა. არ უზიარებდა სხვებს თავი[illegible] ტკივილებს. ადამიანებს საკუთარი სატკ[illegible]რიც ჰყოფნითო, — ამბობდა.

და [illegible]ს მხოლოდ გარეგნულად... შინაგანად [illegible] იბრძოდა, [illegible]ბრძოდა... და დაეცა...

და[illegible] დაუვიწყარი მოგონებები სიცოცხლი[illegible]ყვარულ [illegible]ლზე, დარჩა სიამისმომგვრე[illegible] მელოდიე[illegible] მარადჟამს რომ იცოცხლ[illegible]

მე[illegible]ა თაბუკაშვილი



შალვა ამონაშვილი

# წერილის გმირია „აყვანილი შვილი“

ამ რამდენიმე წლის წინ, ჩვენი რედაქციის ინიციატივით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს 125[1] მუხლი დაემატა — მუხლი, რომელიც ითვალისწინებს შვილად აყვანილი ბავშვებისა და მათი მშვილობლების სიმშვიდისა და ბედნიერების დაცვას. ვინც გაუმჟღავნებს ბავშვს, რომ ნაშვილებია, მას ერთი წლით პატიმრობა მიესჯება. მაგრამ, სამწუხაროდ ამ ნიადაგზე წარმოშობილმა კონფლიქტებმა კიდევ არა ერთი და ორი ოჯახი ააფორიაქა... „უდანაშაულო დამნაშავენი“... გვთხოვენ ვურჩიოთ, როგორ მოიქცნენ — გაუმხილონ თუ არა საიდუმლო, მათი დიდი სიყვარულითა და წვალებით ნაზარდ შვილებს.

ხშირად გვიჭირს კიდეც პასუხის გაცემა.

და, აი, რედაქციაში კვლავ მოვიდა წერილი...

ვაქვეყნებთ ამ წერილს და ვიმედოვნებთ, რომ მკითხველი გულგრილი არ დარჩება — მოგვაწოდებს თავის აზრს.

### პატივცემულო რედაქცია!

მინდა ჩემი გულისტკივილი გაგიზიაროთ. წერილი ბევრჯერ დავწერე, მაგრამ გამოგზავნა ვერ გავბედე, ახლა კი, როგორც დავწერ, აღარც წავიკითხავ, ჩავდებ კონვერტში და ჩავუშვებ ფოსტის ყუთში.

ვინაობას ვერ გაგიმხელთ. მშობლები მეცოდება, ამხანაგების მერიდება.

როგორც გავიგე, ჩემს მშობლებს „აყვანილი შვილი“ ვყავვარ, მინდა სიმართლე ვიცოდე და ამ სიმართლისაც მეშინია, რატომ არ ვიცი. მინდა მშობლებს ვკითხო, მერიდება, არ მინდა ცხოვრების უსამართლო მძიმე ტვირთი კიდევ უფრო დავუმძიმო, ვიცი შიშით მოელიან ამ შეკითხვას, ეს ხომ მათთვის მოულოდნელი ლახვარი იქნება, არა და რა ვქნა, მე მარტო ვღელავ და ვიტანჯები. ვერავისთვის გამიმხელია, თქვენ მოგმართავთ იქნებ „წამალი“ გამომინახოთ.

იქნებ ჯობია, მშობელმა თავიდანვე უთხრას შვილს, თავისი საიდუმლო, შვილად აყვანის შესახებ, თავადაც მოისვენოს ამ მტანჯველი დარდისაგან და შვილიც მოასვენოს, რატომ უნდა იყოს დასამალი ეს კეთილშობილი საქმე, ეს ხომ სიკეთის გაღებაა, ეს ხომ მადლის კეთებაა, რომლისთვისაც ადამიანს მადლობას უნდა ეუბნებოდნენ. ვიცი ბევრი მშობელი ამ საქმეს როგორ მალავს და შვილსაც უმალავს, ლამაზად მინდა გამოვხატო ყველაფერი, მაგრამ არ შემიძლია, ძალიან ვღელავ...

ძალიან კარგი მშობლები მყავს, ახლოს ვარ ორივესთან, განსაკუთრებით დედასთან. დედაა ჩემი პირველი მეგობარი და მესაიდუმლე, ვიცი ჩემი მშობლები ჩემთვის უკანასკნელ სისხლის წვეთს უყოყმანოდ გაიღებენ, უკეთესი მოსიყვარულე მშობლები არ მეგულება, ჩემი ნამდვილი დედა რომ გამომეცხადოს, მე მას ზიზღით ზურგს შევაქცევ. ისიც გავიგე, იგი ჩემს კვალს ეძებს.

პატივცემულო რედაქცია, ამდენი შეგაწუხეთ, კიდევ მინდა გთხოვოთ ერთი რამე. ჩემ საყვარელ ჟურნალ „საქართველოს ქალში“ იბეჭდება შალვა ამონაშვილის „წერილი ჩემს ქალიშვილს“, ძალიან მომწონს ეს წერილები, მე იქედან ბევრი რამ შევისწავლე, ბევრნაირ ხასიათში ჩავიხედე, თურმე ეს „მარტის ასაკი“ ჩემზეც ვრცელდება და ზოგიერთი უარყოფითი მხარე ჩემი ხასიათისა გამოვასწორე კიდეც. მორიდებით გთხოვთ, თხოვოთ დიდად პატივცემულ პროფესორს შალვა ამონაშვილს იქნებ მაჩუქოს ცოტაოდენი დრო და ორი სიტყვით სწორ გზაზე დამაყენოს. ასე მგონია აღელვებულ ზღვაში ვდგავარ.

მე ბატონი პროფესორის მისამართი რომ ვიცოდე, თქვენ არ შეგაწუხებდით, იქნებ ძალლონე მომეკრიბა და პირადადაც მენახა. მე მას იმ ხელებს დავუკოცნიდი, რომელი ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ლებითაც ამ ლამაზ წერილებს წერს, მხოლოდ მისი პასუხი მოუტანს ჩემს გულს მშვიდ წამალს.**

### ქეთევანი

ქეთევანის სულიერმა წუხილმა ძალიან ამაღელვა. რა თქმა უნდა, დიდი მადლობელი ვარ იმის გამო, რომ ასეთი რწმენით ეკიდება ჩემს რჩევას, ეს ბევრს მავალებს. ორ თვეზე მეტია ვცდილობ პასუხი დავუწერო. მივუჯდებოდი საღამოობით მაგიდას და ვიწყებდი წერას: „საღამო მშვიდობისა, ქეთევან!..“ მაგრამ, თურმე, არ ყოფილა ადვილი ქალიშვილის აფორიაქებული სულის სალბუნო სიტყვების ძებნა.

ბოლოს მაინც გადავწყვიტე მივწერო, ქეთევანს!

### ქეთევანს!

ვიდრე არავინ გეტყოდა, ნაშვილები ხარო, ალბათ, არც რამ გაწუხებდა მშობლებთან ურთიერთობაში. მაგრამ ვიღაცას, თავისი დაუდევრობით, ან, იქნებ, ბოროტებითაც კი, წამოგძახა ან გიჩურჩულა — „შენ ნამდვილი მშობლები არ გყავსო“ და შენც სულიერი სიმშვიდე დაგეკარგა. ამ დროს შეიძლება გულჩათხრობილი გახდე, მშობლებს განუდგე, უხეშად, უგულოდ მოექცე.

ძნელია თქმა, რამხელა სულიერ ტკივილს მიაყენებ ამით ადამიანებს, რომლებშიც შენ შვილის სიყვარული, დედობისა და მამობის უზენაესი განცდა გაალვიძე.

ყველა შვილი უნდა იყოს მშობლების მოსიყვარულე და პატივისმცემელი, მაგრამ შენ უფლება არა გაქვს, არ იყო გამორჩეულად კარგი, გულისხმიერი, ალერსიანი, მოსიყვარულე, მზრუნველი შვილი! არა გაქვს ეს უფლება იმიტომ, რომ შენი მშობლები განსაკუთრებით გაფაქიზებული განცდით გეპყრობიან, უფრო მეტადაც გათამამებენ და განებივრებენ. ამიტომ შენი მოულოდნელი გულჩათხრობილობა, განდგომა, უპატივცემულობა, იცოდე, გულს მოუკლავს ადამიანებს, რომლებსაც შენს გარდა სხვა ცხოვრება არა აქვთ. უნდა იყო ისეთი შვილი, რომ მათ არ ინანონ, რომ გიშვილეს, პირიქით, იამაყონ, გაიბადრონ შენით განებივრებულებმა. ასეა, ჩემო კარგო, შვილებმაც უნდა ისწავლონ მშობლების განებივრება და გათამამება.

შენს კეთილ და ფაქიზ გულს მივმართავ, ქეთევან!

რატომ იტანჯები იმით, რომ ნაშვილები ხარ?

გიშვილეს კეთილმა ადამიანებმა, განა რა ჩაიდინეს ისეთი?

ცუდი არ არის ბავშვთა სახლში გაზრდაც, მაგრამ გამოტეხილად ვთქვათ, შეედრება განა ბავშვთა სახლი ოჯახურ სიყვარულს, მშობლების ზრუნვას? ნურც შენ იტანჯები და ნურც შენს მშობლებს გაუჩენ ეჭვის ჭიას. წარმოიდგინე, რა სიმძიმის ლოდს გადაუგდებ გულიდან, თუ მოეფერები და ალალად ეტყვი:

— რას დანაღვლიანებულხართ, ძვირფასებო, ვიყავი და ყოველთვის ვიქნები თქვენი შვილი, დიდი მადლობელიც ვარ, რომ მიშვილეთ, ნეტავ ყველა შვილს თქვენისთანა ტკბილი მშობლები ჰყავდეს!

მიეფერე, აკოცე. იყავი თამამი და ხალისიანი, ოჯახში სიცოცხლე შენით უნდა იწყებოდეს. ან ვისი რა გერიდება? იმ ამხანაგებს რა ვუთხარი, რომლებიც სიბრალულით და ალმაცერად შემოგხედავენ. ვისი რა გაქვს შესაბრალებელი?! ხომ გიყვარს მშობლები, ხომ უყვარხარ მათ?! გაიმართე მხრებში, თვალი თვალში გაუყარე ყველას, იამაყე ყველასთან შენი მშობლებით და თქვი: „კიდევ კარგი, ამისთანა დიდებულმა ადამიანებმა მიშვილეს! ისინი არიან ჩემი ნამდვილი მშობლები!...“

ნამდვილი დედა დამეძებსო, ამბობ. თუ მაინცდამაინც კარზე მოგადგეს და გასაცოდავებული ნახო, რას იზამ, ხელს ნუ აუქნევ, ალბათ დახმარება უნდა, დაეხმარე. შენი მშობლები გაგიგებენ ამას. მაგრამ, რითაც არ უნდა მოგხიბლოს ვითომდა „ნამდვილმა დედამ“, არაფერმა დაგახარბოს, შენს გამზრდელ მშობლებს — მართლაც ნამდვილ მშობლებს — გვერდიდან არ მოსცილდე, არასოდეს მიატოვო ისინი!

### ყველას!

ქეთევანის წერილი არც ერთადერთია და არც გამონაკლისი. ვინ იცის, რამდენ ბავშვს, რამდენ მოზარდს მიაყენა სულის ჭრილობა ზოგიერთის ავყიობამ — „აყვანილი ხარო“. პატარა ბავშვმა ეს სიტყვები თავის თანატოლს, შეიძლება, უგუნურებით უთხრას, მაგრამ რა უფროსები ვართ, თუ არ გავაფრთხილებთ, არ ვასწავლით ბავშვებს, რომ ასეთი რამის თქმა არ შეიძლება! იმას რაღა დავარქვათ, თუ მოზარდს ამ საიდუმლოს მისივე თანატოლი ან, ვაი, სირცხვილო, ვინმე უფროსი გაუმხელს? რა დავარქვათ და ბოროტება, ავყიობა. თუ ასეთი რამ წამოგცდება, თუ ასეთ რამეზე სხვებთან იჭორავებ, თუ ამას შენი ქცევით აგრძნობინებ იმ მოზარდს, მაშინ იცოდე, ნამდვილად ცუდი ადამიანი ხარ!

**ვიწყებთ ახალ რუბრიკას — „დედის ტრიბუნა“, რომელიც ძირითადად დედების წერილებს, რჩევა-დარიგებებს, შეკითხვებს, გადაუწყვეტელ პრობლემებს დაეთმობა. ვეცდებით ეს რუბრიკა თავად დედების ინიციატივითა და სურვილით გამოგზავნილ ბარათებს დავუთმოთ. ძვირფასო ქალებო, ახალგედა და მრავალშვილიანო დედებო, ველით თქვენს წერილებს! ამჯერად გთავაზობთ ხუთი შვილის დედის ზოია გეთიას წერილს**

# ამრავლეთ ერი!

ფრიად მოხარული ვარ ახალგაზრდა დედის დღის დაწესების გამო. მსგავსი ღონისძიების შემოღება, ვფიქრობ, კარგი სტიმული იქნება ახალგაზრდა დედებისათვის.

მე და ჩემი მეუღლე ხუთ შვილს — ოთხ ქალიშვილსა და ერთ ვაჟიშვილს ვზრდით, ტყუპი გოგონები შეგვეძინა. ტყუპებიდან მზიამ პროფტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა და მუშაობს სპეციალობით, ხოლო ლია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია (მათემატიკა კიბერნეტიკის ფაკულტეტის), შუათანა მაიაც აქვე უნივერსიტეტში ეუფლება დიდი რუსი ხალხის ენას, მომდევნო ორი კი — ლელა და პაატა საშუალო სკოლის წარჩინებული მოსწავლეები არიან.

ვინ იტყვის, შვილების აღზრდა ადვილიაო, მაგრამ არ არსებობს დაბრკოლება, რომლის გადალახვა დედამ ვერ შეძლოს. ვინ მოთვლის რამდენი უძილო ღამე მახსოვს, რამდენი დარდი, ნერვიულობა გადამიტანია მათი აღზრდის დროს. ახლა კი ვხარობთ მშობლები, რადგანაც ჩვენმა შრომამ ნაყოფი გამოიღო, რადგანაც ვხედავთ, რომ ვალში არ დავრჩენილვართ სამშობლოს წინაშე! კარგად აღზრდილი შვილები, მარტო ჩვენი კი არა, მთელი ჩვენი ერის სიმდიდრეა; ერის სიმრავლე ჩვენზე, დედებზეა დამოკიდებული, ამიტომაც მინდა მოვუწოდო ახალგაზრდა დედებს, ნუ აყვებიან ბრმად სხვათა, უმცირესთა შეგონებას და ნუ ჩაკლავენ ჩანასახშივე უდანაშაულო პაწიებს, ამით საკუთარ სხეულსაც აზიანებენ და ერის სისხლშიაც ისვრიან ხელს. ახალგაზრდა დედებო, გახსოვდეთ, რომ შვილებზე მეტი სიმდიდრე სხვა რამე არ არსებობს. დედებო, გახსოვდეთ, ყოველნაირი პირობებია შექმნილი პაწიების აღზრდისათვის.

ისმინეთ საქართველოს, მრავალჭირნახული საქართველოს თხოვნა: ამრავლეთ ერი!

ზოია გეთია
ჩხოროწყუ.

კაპიტალის სამყაროში

# იაპონელი მშრომელი ქალის ხვედრი

თავისი სიცოცხლის 36 წლის განმავლობაში კანაე სატომ ბევრი სიძნელე და ტანჯვა გადაიტანა. და ეს არც არის გასაკვირი: ტანჯვა ხომ იაპონელი მშრომელი ქალების საერთო ხვედრია.

სავალდებულო ცხრაწლიანი განათლება რომ მიიღო, კანაემ ტოკიოს გარეუბანში კონცერნ „მაცუსიტე დენკის" ერთ-ერთი საწარმოში დაიწყო მუშაობა, რომელსაც, მის გარდა, ბევრმა მისმა თანაკლასელმაც მიაშურა. კონვეიერთან ცხრასაათიანმა მძიმე შრომამ კანაე გამოფიტა, დააუძლურა. ხელმარჯვე ქალი შეუსვენებლად აწყობდა რადიომიმღებისა და ტელევიზორის ბლოკებს. „დამქანცველი შრომა, — ამბობს კანაე, — მაშინ არავის ემძიმებოდა, ადმინისტრაცია გვეუბნებოდა, ყველანი ფირმისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ მუშაობთო. თუმცა ხელფასს მცირეს იღებდა, ახალგაზრდა ქალმა მაინც მოახერხა მზითვის ცოტაოდენი გროშების შეგროვება.

ოცდაორი წლისამ გაიცნო თავისი საქმრო ტომოიტი — ერთ-ერთი გემთმშენებელი ქარხნის მუშა. ერთი წლის შემდეგ დაქორწინდნენ კიდეც და ქალმა ფაბრიკაც მიატოვა და ამხანაგებსაც ჩამოშორდა: იაპონელი მეწარმეები ქალებს მაშინვე ითხოვენ სამუშაოდან, როგორც კი გათხოვდებიან ან ბავშვი ეყოლებათ. კანაეც დიასახლისი გახდა.

იაპონია სწრაფად ზრდიდა თავის ეკონომიკურ პოტენციალს. კუნძულების ქვეყნის აღორძინების გზაზე მდგარი მრეწველობისათვის საჭირო იყო უცხოეთის ქვეყნებიდან მუდმივად და უხვად შემოეტანათ მინერალური რესურსები. ისინი ზღვით შემოჰქონდათ, ზედიზედ მოდიოდა გემები. არც სატოს ოჯახში მიდიოდა საქმე ცუდად. ოჯახს გოგო და ორი ბიჭი ეზრდებოდა.

ნაყოფი გამოიღო გაფიცვამ — მუშებმა მიაღწიეს ხელფასის მომატებას. სატოს ოჯახმა ახალ, მცირეფართობიან ბინაში გადაინაცვლა. ეს ბინა ცოტათი უკეთესი იყო, ვიდრე წინანდელი „კურდღლის გალია" (ბევრი იაპონელი ასე უწოდებს თავის პატარა ბინას).

და აი 70-იან წლებში მსოფლიო ენერგეტიკულმა კრიზისმა იფეთქა. მან განსაკუთრებით იაპონია დააზარალა, რომელსაც სამრეწველო ნედლეული თითქმის მთლიანად უცხოეთიდან შემოჰქონდა. ხელისუფლებამ, მონოპოლიების მხარდაჭერით, მშრომელთა უფლებებსა და საარსებო ინტერესებზე მიიტანა იერიში. მშრომელი მასები უფრო და უფრო დაიმშნენ და გაღატაკდნენ.

მრეწველობის ბევრ დარგში დღესაც გრძელდება კრიზისი და ეკონომიკური დაქვეითება. საწარმოები სუსტდება, უმუშევართა რიგები კი უფრო და უფრო იზრდება. დეპრესიამ გემთსაშენებელ მრეწველობაშიც შეაღწია. თუმცა იაპონია, ისევე, როგორც წინათ, დღესაც მსოფლიოს სატვირთო გემების ტონაჟის ნახევარს უშვებს, გემებზე შეკვეთების მკვეთრად შემცირების გამო მაინც ზედიზედ იხურება ნავსაშენები.

და აი იმ საწარმოს დახურვის რიგიც მოვიდა, რომელშიც ტომიტო სატო მუშაობდა. კონცერნმა „ისიკავაძიმ ხარიმამ", რომელსაც ნავსაშენის აქციების პაკეტი ეკუთვნოდა, გადაწყვიტა რაციონალიზაცია გაეტარებინა თავის გემსაშენებელ საწარმოებში. სატოსა და მის ორიათას ამხანაგს სამუშაოდან განთავისუფლების საფრთხე დაემუქრა. მაგრამ მუშებმა გადაწყვიტეს, არ დამორჩილებოდნენ ხვედრს: ნავსაშენის დახმარების კომიტეტმა, რომელშიც სატოც შევიდა, გემთმშენებლები თავიანთ მეწარმეთა თვითნებობის წინააღმდეგ საბრძოლველად დარაზმა. სამუშაო ადგილებზე მუშებმა დამსხდრებმა მოაწყეს გაფიცვები, პიკეტები დააყენეს კონცერნის შტაბ-ბინასთან, რომლებმაც მუშები ქუჩაში გამოიყვანეს. გემთმშენებლებმა ხელთ იგდეს საწარმოები და განაცხადეს, მანამდე არ დავტოვებთ მათ, სანამ ჩვენი სამართლიანი მოთხოვნილებები არ შესრულდებაო. აი უკვე სამი წელიწადია, რაც ტომოიტი სატოს და მისი ამხანაგების ბრძოლა გრძელდება. ისინი ვერ შესძლებდნენ ამას, მუშებს აქტიურად რომ არ დაეჭირათ მხარი. ერთხელ კანაემ პროფკავშირულ გაზეთში ხოკაიდოს კუნძულის იუბარის მაღაროს სამთოელთა ბრძოლის ამბავი წაიკითხა, იმ მაღაროსი, კატასტროფის შედეგად რომ დაინგრა (კატასტროფაში ადმინისტრაციას მიუძღოდა ბრალი). ქალებმა მოილაპარაკეს და, ხოკაიდოს მაღაროელთა მაგალითისამებრ, უმუშევრად დარჩენილთა დასახმარებლად ნავსაშენის მუშათა ცოლების საზოგადოება დააარსეს. ისინი თავიანთი ქმრების მხარდამხარ იბრძვიან.

ეს საზოგადოება, რომელიც კანაე სატოს და მისი მეგობრების თაოსნობით დაარსდა, ერთადერთი როდია იაპონიაში. ასეთი ორგანიზაციების — „გემსაშენის უმუშევარ მუშათა დახმარების საზოგადოების", „გაფიცულთა ოჯახების დახმარების კომიტეტის" და სხვათა დაარსება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა იაპონიის მუშათა მოძრაობისათვის.

მაგრამ სატოს ოჯახს მაინც არ გააჩნდა ცხოვრების საშუალება. ის მცირე თანხა, რომელიც კომპანიამ მას სამუშაოდან დათხოვნის საკომპენსაციოდ მისცა, ვალების გადახდას მოუნდა. კანაემ და მისმა ქმარმაც სამუშაოს ძებნა დაიწყეს. ქალი შეეცადა ისევ თავის ძველ სამუშაოს დაბრუნებოდა, მაგრამ ამწყობი ქალის მარჯვე ხელები დიდიხანია იქ სამრეწველო რობოტების ლაკით გაპრიალებულმა მანიპულატორებმა შეცვალა. ბოლოს მაინც იშოვნა კანაემ სამუშაო, ის კვლავ დადგა კონვეიერთან — ამჯერად ტოკიოს ერთ-ერთ ფარმაცევტულ ფირმაში წამლების შემფუთველად დაიწყო მუშაობა. მაგრამ მისი შრომის ექსპლოატაცია იქ უფრო მეტად იგრძნობოდა, ვიდრე ძველ სამუშაოზე. თუმცა სატომ მიაღწია, რომ მისთვის „არასრული სამუშაო დღე" დაეწესებინათ, მაინც არაფერი ეშველა — რვა-ცხრა საათის მუშაობაც ძალიან ღლიდა. ამ სტატუსს („არასრულ სამუშაო დღეს") ზარალის მეტი არაფერი მოჰქონდა მუშებისათვის. ადმინისტრაციას უფლება ჰქონდა სიქა გაეცალა მათთვის, გადახდით კი სამჯერ-ოთხჯერ ნაკლებს უხდიდა, ვიდრე „კადრის მუშებს"!

მართალია, იაპონიამ ომის შემდგომ პირველ წელსვე მიიღო კანონი, რომლის უფლებებით ქალი კაცს უნდა გაუთანაბრდეს, მაგრამ იაპონელი ქალები თავიანთი გამომუშავების 58 პროცენტზე მეტს არ იღებენ. ოფიციალური სტატისტიკის ცნობებით, მრავალი ათასი იაპონელი ქალი დიასახლისად არის აღრიცხული და უმუშევრად არ ითვლება, თუმცა კი მათ ძალიან უჭირთ საარსებო სახსრების გამონახვა და სამუშაოს ძებნაში უთენდებათ და უღამდებათ.

„იაპონია ეკონომიკურად ყველაზე მოწინავე ქვეყნად ითვლება, მაგრამ იმის მიხედვით, თუ რა ადგილი უჭირავს მას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ბოლო ადგილზეა, — ამბობს იაპონელ მცირერიცხოვან ჟურნალისტ ქალთა წარმომადგენელი, გაზეთ „ასახის" ქალთა საკითხებისა და სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე იაერი მაცუი, — სწორედ ქალთა უფლებების დისკრიმინაციისა და ულმობელი ექსპლოატაციის წყალობით მიაღწია იაპონიამ მრავალი წლის განმავლობაში სხვა ქვეყნებთან შედარებით სამრეწველო განვითარების სწრაფი ტემპის შენარჩუნებას. იაპონელმა ქალებმა ბევრი ღონისძიება განახორციელეს კაცებთან თანასწორუფლებიანობისათვის, მაგრამ კვლავ დიდი ბრძოლა დაგვჭირდება, რათა ჩვენ მეორეხარისხოვან ხალხად არ ვითვლებოდეთ".

ა. ანიჩკინი,
საკდეხის კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულინარია

# უხორცო (ვეგეტარიანული) კერძები

## სტაფილოს წვნიანი („სუფი“)

2-3 მოზრდილი თავი ხახვი წვრილად დაკეპეთ, დაასხით 100 გრ (ან რამდენიც გნებავთ) მცენარეული ზეთი (ან სხვა რამ ცხიმი), შედგით საშუალოზე ოდნავ დაბალ ცეცხლზე და 10-15 წუთს შუშეთ: დაუმატეთ 200 გრ (შეგიძლიათ მეტიც) თხლად დაჭრილი ან მსხვილ სახეხზე გახეხილი სტაფილო და განაგრძეთ ხახვთან ერთად შუშვა, ვიდრე სტაფილო ოდნავ არ შერბილდება, შემდეგ დაასხით 200-300 გრ გაფცქვნილი და დაჭყლეტილი პამიდორი (თუ ახალი პამიდორი არა გაქვთ, ნახევარი სუფრის კოვზი ტომატის პასტა იხმარეთ) და 2-3 წუთი კვლავ შუშეთ; დრო და დრო კოვზით მოურიეთ, რომ არ მიგეწვათ; ყოველივე ამას დაასხით მდუღარე, ერთი, ერთნახევარი ლიტრი წყალი, ჩაამატეთ 2-3 ცალი დაჭრილი კარტოფილი და თუ გაქვთ ერთი ცალი ბულგარული პილპილი. როცა კარტოფილი მოიხარშება გადმოდგმის წინ უყავით მარილი და ბლომად (ან რამდენიც გნებავთ) დაკეპილი კამა, ოხრახუში და ნიახური.

## ბორში

2 თავი ხახვი წვრილად დაკეპეთ, დაასხით 100-150 გრ ზეთი ან სხვა რამ ცხიმი და შედგით საშუალო ცეცხლზე; ვიდრე ხახვი იშუშება, დაჭერით 250 გრამი კომბოსტო, 1 ცალი სტაფილო, 200 გრამი კარგი წითელი ჭარხალი, 2-3 ცალი კარტოფილი, რამდენიც გნებავთ, მწვანე ან ბულგარული წიწაკა, ნიახური, ოხრახუში, კამა, 3-4 კბილი ნიორი; ყოველივე ეს დააყარეთ ხახვს და განაგრძეთ შუშვა; თუ დაატყობთ, რომ ცხიმი არ ყოფნის, — დაუმატეთ. როცა კარტოფილი სულ ოდნავ შერბილდება, დაასხით 2-3 ცალი აჭყლეტილი პამიდორი და კარგად წამოადუღეთ. შემდეგ დაასხით იმდენი მდუღარე წყალი, რომ ისეთი სისქის კერძი მიიღოთ, როგორიც თქვენ გნებავთ; (ზოგიერთს, ზოგს თხელი წვნიანი უყვარს, ზოგსაც მოსქო), ხარშეთ მანამდე, ვიდრე კარტოფილი კარგად არ დარბილდება, გადმოდგმის წინ დაუმატეთ ერთი სუფრის კოვზი ძმარი (თუ გაქვთ, უკეთესია ვაშლის ძმარი), ერთი კვნიტი შაქარი, 1 ცალი დაფნის ფოთოლი და მარილი; სუფრაზე მიტანის წინ, მათლაფაში დაუმატეთ ერთი სუფრის კოვზი მაწონი ან არაჟანი.

## უხორცო ტოლმა

ტოლმისათვის მაგარი — მკვრივი კომბოსტო არ ვარგა; აარჩიეთ ისეთი, რომ ხელში ფუყედ და მსუბუქად გხვდებოდეთ: დაშალეთ ფოთლებად, 2-3 წუთი ჩაყარეთ მდუღარე წყალში და მოწალეთ; შემდეგ ამოალაგეთ, გააგრილეთ და ცალკ-ცალკე თითოეულ ფურცელში გაახვიეთ ფარში, რომლის მომზადების წესსაც ქვემოთ მოგახსენებთ;

ზეთში მოხრაკეთ დაჭრილი ხახვი და სტაფილო (როგორც ეს „სტაფილოს წვნიან“ კერძშია მოცემული), გადმოდგით ცეცხლიდან, დაუმატეთ ნახევრად მოხარშული ბრინჯი, დაჭრილი ნიორი, მწვანე ან წითელი წიწაკა (თუ გაქვთ ბულგარული პილპილი), კამა, ნიახური, ოხრახუში და მარილი. ფარში კომბოსტოს ფურცლებში იმდენი ჩადეთ, რამდენიც თქვენ გნებავთ, მოკეცეთ ოთხკუთხად; ფრთხილად, რომ არ დაგეშალოთ ჩაალაგეთ ბრტყელძირიან, განიერ და დაბალ ქვაბში, შემდეგ ზემოდან მოასხით წინასწარ გამზადებული დაჭყლეტილი პამიდორი, რომელსაც უკვე მარილიც აქვს დამატებული და შედგით მოსახარშად. გახსოვდეთ, ტოლმის მორევა არ შეიძლება; რომ არ მიგეწვათ უნდა ხარშოთ დაბალ ცეცხლზე და დროდადრო ქვაბი შეანჯღრიოთ. სუფრაზე მიტანის წინ, მოასხით ათქვეფილი მაწონი ან არაჟანი.

პროდუქტების რაოდენობა ეცადეთ თავად განსაზღვროთ.

## ხელმარჯვეთა კუთხე

**ასე თქვენც შეგიძლიათ გააკეთოთ სააბაზანოს, საკუჭნაოს ან სხვა რომელიმე სათავსოს კარზე**





ეროვნული ბიბლიოთეკა





















# ქსოვის III გაკვეთილი

გთავაზობთ ორ მარტივ მოსაცმელს, რომელთაც სხვადასხვა ფუნქციის შესრულება შეუძლიათ, ისინი შეგიძლიათ გამოიყენოთ, „კაშნესავით“, ქუდივით, ჟაკეტივით და ა. შ. მოქსოვა კი თქვენ უკვე იცით.

I—მოსაცმლის მოსაქსოვად საჭიროა 400 გრამი მსხვილი ძაფი, №3 ჩხირები, აიღებთ 200 თვალს და მოქსოვთ 80 სმ., შემდეგ მოკეცავთ და გვერდებში გაკერავთ 25 სმ. ამ ნაქსოვის ნაყში („უზორი“) ასე იქმნება:

I რიგი — ორი წალმა და ორი უკუღმა.

II რიგი — ორ წალმაზე — წალმა და ორ უკუღმაზე — უკუღმა.

პირობითი ნიშნებით ეს ნაყში ასე ჩაიწერება

II—II—II—II—II—II—II—II

II—II—II—II—II—II—II—II

II მოსაცმელი იქსოვება წინდისებური ქსოვით. (იხ. II გაკვეთილი). ფერების და ზოლების სიგანის შერჩევა თქვენზეა დამოკიდებული. აიღებთ 300 გრ. წვრილ ძაფს (სამი წვერი), №2 ჩხირებს. დაიწყებთ 180 ან 200 თვალით და მოქსოვთ 100 სმ-ს. მოკეცავთ ორად და გაკერავთ სიგრძეში 25 სმ. დასაწყისში და ბოლოში.

იგივე მოსაცმელი შეიძლება მოიქსოვოს ერთი ფერის, ერთი წვერო ძაფით, სულ წალმა №2 ჩხირებით (ქსოვა თავსაფრისებრი, იხ. II გაკვეთილი), მიიღებთ აჟურულ ნაყშს. მასზე შეგიძლიათ, რაიმე წესით მიმოაბნიოთ მინის წვრილი მძივები და დაამაგროთ. ასეთი მოსაცმელი ძალიან მსუბუქი და ელასტიური გამოდის, კარგად იკეცება და ხელჩანთაში მცირე ადგილს იკავებს, თანაც ზაფხულში კარგი მოსახმარია.

**ლამარა ვეკუა**

---

გარეკანის პირველ გვერდზე — 1983 წლის თბილისის „საბავშვო ბაღის საუკეთესო აღმზრდელის“ კონკურსში გამარჯვებული გულიკო ყიფიანი; მეოთხეზე — ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა.

---

მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი
Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: გ. ბანძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ჟვანია, პ. ქლენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096 Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096. Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი—ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 6. 06. 84 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28. VI 84 წ. ქაღალდის ზომა 60×90¹/₃. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.8.
Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ტირაჟი 140.000. შეკვ. 1260 უე 06480



„სრულიად საიდუმლოდ"

ბონდო დადვაძის ფოტოეტიუდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ხ67/182



ინდექსი 76178